ISSN 0130-1624

619
1979
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

მაისი
№ 5 1979 წ.




მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის ლენინური პრემიის მინიჭების შესახებ

16992

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებმაც განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება იმის თაობაზე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევს** მიენიჭოს ლენინური პრემია წიგნებისათვის „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, — ადგენენ:

მიენიჭოს ამხანაგ **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს** ლენინური პრემია წიგნებისათვის „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, მშვიდობის დასამკვიდრებლად დაუცხრომელი ბრძოლისათვის.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ხომ გახსოვთ იოსებ გრიშაშვილის მადლიანი სიტყვები:

„საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო,
და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში“...

ასეა, საქართველოს დედაქალაქი ყოველთვის იყო ხალხის შემკვრელი, დამრაზმველი, წარმართველი. დიდია ის ღვაწლი, რომელიც თბილისს მიუძღვის საბჭოთა საქართველოს კულტურის, ხელოვნების, მწერლობის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელ წინსვლასა და აღმავლობაში.

აი, ამიტომაც იყო, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ამ ორიოდე თვის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რომ დაჯილდოვდა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა:




სამუშაო დღე დაიწყო.

# გლდანის მასივი

„იმისათვის, რომ თბილისი სანიმუშო კომუნისტური ქალაქი გახდეს, იგი უნდა გამოირჩეოდეს არა მარტო შრომისადმი ადამიანთა კომუნისტური დამოკიდებულებით, არამედ მაღალი კომუნისტური ყოფით, მაღალი კომუნისტური კულტურით“.

ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პირობაა საბინაო მშენებლობის ტემპის დაჩქარება და მისი ხარისხის ამაღლება.

გლდანის საცხოვრებელი მასივი თბილისის ერთ-ერთი ახალი დასახლებაა. ამ უკაცრიელ ადგილას რამდენიმე წლის წინათ მოვიდნენ მშენებლები, მოვიდნენ და გულის გასახარებლად აახმიანეს გარემო.

მიბრძანდით ახლა გლდანის მასივში. სწორედ რომ თვალსა და გულს ახარებს მრავალსართულიანი კოპწია სახლები, ფართო გზები, მწვანე ნარგავები...

მასივის 8 მიკრორაიონში 9 საშუალო სკოლაა, 14 საბავშვო ბაღი; დასახლების ცენტრში გაიხსნა კეთილმოწყობილი 31-ე პოლიკლინიკა, რომელშიც მრავალი ადამიანი ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. მასივში ნახავთ სპორტულ და ბავშვთა მოედნებს, საცურაო აუზს, თვითმომსახურების მაღაზიებს, სასურსათო და სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს...

გლდანის მასივის მშრომელები მალე მიიღებენ სამსართულიან ახალ შენობას, რომელშიც ე. წ. ვაჭრობის ცენტრი განლაგდება. მწყობრში ჩადგება კეთილმოწყობილი რესტორანი. წელს გლდანში გაიხსნება ახალი კინოთეატრის მოხდენილი შენობა. დაიწყო საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა, ხარაჩოები შემოეხსნება მრავალსართულიან შენობებს, რომლებშიც ბევრი თბილისური ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ამბავი, რომ გლდანის მასივის მიმართულებით უკვე დაიწყო მეტროპოლიტენის ახალი ხაზის გაყვანა.

დიდი სამუშაოები წარმოებს აგრეთვე მასივის მწვანე საფარველის შესაქმნელად. შენდება და ნარგავებით ივსება ახალი სკვერები, გაზონები, ეზოები...

გამწვანების კანტორის მუშაკებს, ცხადია, მასივის მშრომელებიც უნდა ამოუდგნენ მხარში, ერთობლივი ძალით უნდა იბრძოლონ ყვავილნარებისა და ხეივნების ასაშრიალებლად.

თავის დროზე გლდანის საცხოვრებელი მასივის მშენებლობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება. გლდანში მოკლე დროში შესამჩნევად გაუმჯობესდა კომუნალური, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სხვა სახეობის მომსახურება, განხორციელდა მთელი რიგი სხვა ღონისძიებები. ცხადია, ამ დიდი მასივის ფართოდ გაშლილ მშენებლობასა და კეთილმოწყობაში ყველა რგოლი ჯერ კიდევ როდია აწყობილი, მაგრამ საერთო ძალით, ეჭვს გარეშეა, ხარვეზები სწრაფად გამოსწორდება.

გლდანის მასივი თბილისის ერთ-ერთ წარმტაც და კეთილმოწყობილ ნაწილად გადაიქცევა.

ეთერ მაჭავარიანი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა





- მიიჩქარიან.
- საბავშვო ბაღის ეზოში.
- ქუჩის კეთილმოწყობა.
- ახალი კორპუსები.
- მომსახურებით კმაყოფილნი არიან.
- პოლიკლინიკაში.





ვიქტორ ჯაიანაშვილის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5 (509). მაისი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულსარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოღაის ველზე — გოგონებთან

ჩვენ შეგნებულად მოვიტოვეთ უკან ბრიგადირი გურამ რუსიტაშვილი, — კაცი, რომელშიც შეერთებულია წინა თაობების მიერ ათეული წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილებაცა და ჭაბუკური გატაცებაც. სახელოვანი მეცხვარული ბიოგრაფია აქვს გურამს. ჯერ იყო და ორჯერ გახდა რაიონის ჩემპიონი ცხვრის პარსვაში, ორგზის ჩემპიონობა მეცხვარეობის ისეთ ალიარებულ რაიონში, როგორიც ლენინგორია, არც თუ იოლი საქმეა. ამის შემდეგ გურამი აირჩიეს მეცხვარეთა მესამე საკავშირო შეკრების მონაწილედ. შეჯიბრებაში იქაც მიიღო მონაწილეობა და არც თუ ცუდად გამოსულა. გურამი დაუფარავი სიამაყით იხსენებს ამ შეკრებას. ჩვენი ქვეყნის ცნობილ მეცხვარეებთან გატარებულ დღეებს, გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას.

გურამ რუსიტაშვილის ბრიგადას არასოდეს უცდია იოლი გზით სიარული. ბევრჯერ ყოფილან ახალი წამოწყების ინიციატორები და პირველებს დაუნერგავთ სხვათა მოწინავე გამოცდილება. არასდროს წუწუნებენ სახელმწიფო გეგმების სიდიდეზე, პირიქით, იმითაც არ კმაყოფილდებიან და ზოგიერთისთვის, მართლაცდა, წარმოუდგენელ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ. მაგალითისთვის მარტო 1979 წელიც კმარა. მიმდინარე წელს ბრიგადამ, მართლაც, გადიდებული ვალდებულება აიღო: გეგმით გათვალისწინებული 85 ბატკნის ნაცვლად ასი ნერბიდან უნდა მიიღონ და შეინარჩუნონ 96 ბატკანი. ეს მარტო ბრიგადირის ახირება როდია. გურამს არ უყვარს მარტო საკუთარი სახელით ლაპარაკი, თუ არ განსაჯა და აწონ-დაწონა მთელმა ბრიგადამ, არ გაითვალისწინეს შესაძლებლობები. ამიტომ ენდობა ყველა თავის წინამძღოლს, თვით მწყემსობაში დაბრძენებული მეცხვარეებიც კი.

გურამ რუსიტაშვილის ბრიგადამ საკუთარი შრომისა და საქმიანობის შესაფასებლად ძველსა და ნაცად ხერხს მიმართა: სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვიეს ამავე რაიონის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადა სოფ. უკანამხრის კოლმეურნეობიდან, რომელსაც ომარ ჩიტიშვილი ხელმძღვანელობს. მარტო ამ არჩევანიდანაც ჩანს, თუ რა სერიოზულად ეკიდებიან საქმეს გურამი და მისი თანამოსაქმეები.

ომარ ჩიტიშვილის ბრიგადაც გამოცდილი და საქმის მცოდნე მწყემსებისგან შედგება, მაგრამ ღირსეულ მეტოქესთან გამარჯვება უფრო აათკეცებს წარმატებას. გამარჯვებაში კი დარწმუნებულია გურამი.

— სახლში აღარ გადაგვესვლება, თუ დანაპირები გადაჭარბებით არ შევასრულეთ, — მთელი სერიოზულობით ამბობს ის და გვჯერა, რომ მართლაც იოლად არავის დაუთმობს. როდესაც მის თვითდაჯერებაზე გაგვეღიმა, გურამს წარბიც არ შეუხრია, ამაყად გადახედა ამხანაგებს და დასძინა, თუ მოხდა რამე და ხელი შეგვეშალა, საკუთარ ცხვარს დავსერავ და ვალდებულებას მაინც შევასრულებთ.

ძნელია დაეჭვდე გურამის გულწრფელობაში. ძნელია, რადგან საქმისადმი სიყვარულმა და თავდადებამ საზღვარი არ იცის.

### „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“

სოფ უკანამხრის კოლმეურნეობის იმ ბრიგადას, რომელსაც ომარ ჩიტიშვილი ხელმძღვანელობს, დახასიათება არ სჭირდება. მეცხვარეობის განვითარების საქმეში ამ ბრიგადის დამსახურებაზე ისიც მეტყველებს, რომ წლების განმავლობაში ნამატის მიღებისა და შენარჩუნებაში მხარს უსწორებდა მოწინავეებს არა მარტო რაიონული, არამედ რესპუბლიკური მასშტაბითაც. ამას კი იოლი გზით ვერასოდეს მიაღწევ. ეს მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის, ურთიერთგაგებისა და მაღალი შეგნებულობის შედეგია. კოლექტივი კი მართლაც რომ სასახელოა; ოცდაათი წელიწადია მწყემსობის ძნელ გზას ადგას ლენინის ორდენოსანი ძუბა ხინჩიგოვი, გამოცდილებითა და საქმის ცოდნით არ ჩამორჩება მას შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დათიკო ჩიტიშვილი. ერთ-ერთი ფარის თავჩობანია აგრეთვე ფედრა ბალხამიშვილი, რომელსაც 25 წლის გამოცდილება აქვს მეცხვარეობაში. რაკიღა სიტყვა ბრიგადის წევრებზე ჩამოვარდა, სწორედ ეს ხანდაზმული და წყემსობაში ჩამოთოვლილი ადამიანები ლაპარაკობენ ასეთი სიყვარულითა და სიამაყით თავიანთ ახალბედებზე. ერთი შეხედვით არც კი გჯერა, რომ საუბარი ეხება გუშინდელი მოსწავლეებს, საბჭოთა არმიის მეომრებს. უფროსებისგან გაგონილი საქებარი სიტყვა ალბათ ყველაზე დიდი ჯილდოა ახალბედა მერაბ და ბერო ჩიტიშვილებისათვის.

როდესაც ომარს შევახსენეთ, რომ ის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გურამ რუსიტაშვილმა და თან დასძინა, აუცილებლად უნდა ვაჯობოო, გაიღიმა და თან ამხანაგებს გადახედა.

— გურმს, ალბათ, არ გაუგონია, — სიცილითვე დააყოლა, — კამეჩთან მორკინალ ხარს რა მოსდის. თუმცა, რა გაეწყობა, ნათქვამია, მჯობს მჯობნი არ დაელევაო. ისე, მაგ დალოცვილმა, „დასამარცხებლი“ ბიძაშვილის მეტი ვერავინ მონახა? ისე, ასე თუა, გამოწვევას მივიღებთ. მე და ჩემი ბრიგადის წევრები ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ. გეგმით გათვალისწინებული 85 ნაცვლად, მივიღებთ და შევინარჩუნებთ 97 ბატკანს.

გამოწვევა მიღებულია, ყველაფერს კი ისევ თავდადებული შრომა გადაწყვეტს, გვჯერა, არც ერთი ბრიგადა არ შეირცხვენს თავს.

### გოგონები ნოღაის ველზე

იმ დღეს ვერაფრით წარმოიდგენდით, რომ ნოღაის ველზე ჯერაც ზამთარი იდგა, ამ დროისთვის უჩვეულო, მზით განათებული სტეპი გაზაფხულის სითბოთი სუნთქავდა, ემანუილ მარგიევიც კარგ გუნებაზეა. ამის მიზეზი გასაგებია: ყიზლარის საძოვრებზე რაიონის ათეულ-ათასობით ცხვარი იზამთრებს. მწყემსებს ნორმალური პირობები აქვთ შექმნილი. საკვების მხრივაც ყველაფერი რიგზეა, ამინდი ხომ...

— თუმცა, ამინდის არც გვეშინია, — დასძინა მან და ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — არც ჩვენს გოგონებს ეშინიათ.

— გოგონებს?

— დიახ გოგონებს.

— თქვენი რაიონიდან არიან?

— ჩვენი რაიონიდან... თუმცა, მოვედით და თქვენი თვალით ნახეთ.

ბინის ირგვლივ სანიმუშო სისუფთავეა. თავიდან არც დაიჯერებ, რომ აქ მეძროხეობის ფერმაა. სადმე მყუდრო, გამრჯე დიასახლისის ეზოში გეგონება თავი.

ორიოდე ნაბიჯზე, ბინის მეორე კუთხეში თავისი საქმით გართულმა ახალგაზრდამ წამოიწია და მოგვაჩერდა.

— ეს არის ლენინგორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საკვებმომპოვებელი გაერთიანების № 1 ბრიგადა, — გვიხსნის ემანუილი.

დასასრული. იხ. „დროშა“ № 4.

— მაგრამ გოგონები?

ემანუილს მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა და ახალგაზრდას უხმო.

— კომკავშირელი მარინე ბაშარული, — ახლოს მოსულმა გოგონამ დაიმორცხვა, უხერხულად მიმოიხედა, მაგრამ თავს სძლია და ბინაში შეგვიპატიჟა. ალბათ ყველაზე მეტად აქ ჩანს ქალური ხელი... არადა როგორ სჭირდება ის მწყემსს, შემოდგომიდან გაზაფხულამდე — საზამთრო საძოვრები, გაზაფხულიდან შემოდგომამდე — იალაღები და.. ნატვრითა და ოცნებით დაბანგული ის ორი კვირა, საკუთარ საქმესა და ამხანაგებს რომ მოპარა, მთელი წელიწადი უნდა ეყოს.მართლაც და ძნელია წარმოიდგინო ერთად ყიზლარი და ქალიშვილები, რადგან მკაცრი ზამთრით, ცხელი და ქარებიანი ზაფხულით განთქმულია ნოღაის ველი, მხოლოდ უდიდეს ნებისყოფასა და ვაჟკაცურ სულს თუ დაემორჩილება. მაგრამ მონდომებასა და საქმისადმი სიყვარულს წინ ვერაფერი აღუდგება, ეს ამ გოგონების მაგალითიდანაც ჩანს. ისინი კი სამნი არიან აქ: მარინე ბაშარული, მედეა ხუციშვილი და მერი ჟივაძე. მათ უჭირთ თავის თავზე საუბარი, აი მეგობრების შრომის მოყვარეობაზე და ერთგულებაზე კი თავდავიწყებით ყვებიან. გვეუხერხულება კიდეც, შეეკითხო ამ შორ და ძნელ გზაზე წამოსვლის მიზეზებზე. სხვადასხვა დროს, განსხვავებულ ვითარებათა გამო წამოვიდნენ აქ მარინე ბაშარული და მედეა ხუციშვილი, მაგრამ მათ მიერ განვლილი გზა, მათი დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის დასაწყისი ტიპიურია ყველა საბჭოთა ახალგაზრდისათვის. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი სოფლის, რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, შეგონება იმისა, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე ასე სჭირდება ახალგაზრდული შემართება, ძალა და ენერგია...

ქ. ორჯონიკიძის ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა აქ მარინე ბაშარული. არ დარჩენილა ქალაქში, წამოვიდა ნოღაეთში. თუმცა ამის შესახებ თვითონ მარინეს მოვუსმინოთ:

— ჯერ კიდევ სასწავლებლის მოსწავლე ვიყავი, როცა გავიგე დუშეთის ახალგაზრდების პატრიოტული თაოსნობის შესახებ. ისინი რესპუბლიკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მოუწოდებდნენ, წასულიყვნენ ფერმებში, მხარში ამოდგომოდნენ უფროსებს. ამ თაოსნობას ჩვენი რაიონის ახალგაზრდებმაც დაუჭირეს მხარი. მე მაშინ პირობა დავდე, რომ მეც მათ კვალს გავყვებოდი და... წამოვედი ნოღაის ველზე.

სკოლის დამთავრების შემდეგ, კომკავშირული საგზურით წამოვიდა ყიზლარში მედეა ხუციშვილი. ის ბავშვობიდანვე ოცნებობდა, გამხდარიყო მწველავი. დიახ, ოცნებობდა.

— ამას ლამაზი სიტყვებისთვის და თავის მოსაჩვენებლად არ ვამბობ, — თავიდანვე გაგვაფრთხილა მედეამ, — ბავშვობიდანვე ვამაყობდი ჩემი თანასოფლელით, საქვეყნოდ სახელგანთქმული მწველავით ლილი ბაშარულით. ვამაყობდი იმიტომ, რომ უბრალო სოფლელმა ქალმა სწორედ საკუთარი შრომის წყალობით მოიხვეჭა ხალხის სიყვარული. მეც მსურდა მისი მსგავსი ვყოფილიყავი. რატომ წამოვედით მაინც და მაინც ნოღაეთში?—მედეამ ჩუმად გადახედა მეგობრებს, — ვიცოდით, აქ ყველაზე ძნელი იყო... ვიცოდით და თავის გამოცდა გვინდოდა.

— ჩათვალეთ, რომ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს, — გვეუბნება ბრიგადირი შ. შიუკაშვილი, — ის კი არა, ჩვენც აგვიყოლიეს და ოდესღაც ჩამორჩენილი ბრიგადა რაიონში ერთ-ერთი მოწინავე გახადეს.

ასევე კომკავშირელია ბრიგადის მესამე წევრი — მერი ჟივიძე. მერი 17 სულს უვლისო — ღიმილით გვეუბნებიან მისი მეგობრები, 15 ძროხას და ორ ბავშვს.

მართლაც, მერი ორ ბავშვთან და მეუღლესთან იმყოფება, აქ ოჯახსაც უვლის და გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებს. უნდა ითქვას, რომ გეგმა-ვალდებულებების შესრულების მხრივ ბრიგადა მოწინავეთა რიგებში იმყოფება. გასულ წელს გეგმიური 1160 კგ. ნაცვლად მოწველეს 1200 კგ. რძე. წელს კი გადიდებული ვალდებულებები იკისრა სამივემ: გეგმიური 1200 კგ-ის ნაცვლად მიიღონ 1250 კგ. რძე. როცა გეგმებზე ჩამოვარდა საუბარი, გოგონებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მათი მაჩვენებლები მეზობელი დაღესტნის მეცხოველეებთან შედარებით, ერთობ მოკრძალებულია. ამის მიზეზებს თვითონვე გვიხსნიან: მათ ბრიგადაში ყავთ მომთაბარე ჯიშის საქონელი, რომლის გამოსავლიანობა ნაკლებია. შეიძლება შემოყვანილი იქნეს უკეთესი ჯიშის საქონელი, რაც უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, საამისო პირობები კი გააჩნიათ. სხვა სათხოვარიც აქვთ გოგონებს: ბინასთან არაა სასმელი წყალი და ოთხი კილომეტრის მანძილიდან ეზიდებიან. ამიტომ სთხოვენ სათანადო ორგანიზაციას, დააჩქარონ იმ არტეზიული ჭის გათხრა, რომელიც მათ ბინასთან დაიწყეს. ასევე ჭიანურდება მწყემსების ჟურნალ-გაზეთებით მომარაგება და დღემდის ვერაფრით ვერ მოება თავი ბინების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას.

მსჯელობენ გოგონები. მსჯელობენ საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე საკითხებზე, ხვალინდელ გეგმებზე, შრომის ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, მშობლიურ საქართველოზე და გავიწყდება, რომ ნოღაეთში ხარ, სადღაც უკიდეგანო სტეპიდან მოვარდნილი ქარი აწყდება ფანჯრებს და გაგულისებული იმუქრება.

ოთარ მეოტიშვილი,
შერმადინ ქალდანი,
ჟურნალ „დროშის" სპეციალური კორესპონდენტები.

# მეშახტეთა ქალაქი

მზიური აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ტყვარჩელს. ქალაქი, უპირველს ყოვლისა, თავისი გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანებით ამაყობს. ქვანახშირის შახტებში, დოლომიტის მაღაროში, სხვადასხვა სამრეწველო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში ტყვარჩელელი მშრომელები თავდადებით ეჭიდებიან საქმეს, ჩვეული გატაცებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გასატარებლად.

ვის არ სმენია სასიქადულო მეშახტის ლეონტი ტყებუჩავას სახელი. თავისი გამრჯე, მოუღლელი მარჯვენით მან მთელი საქართველო ასახელა და მოპოვებული შრომითი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალოცი წერილი დაიმსახურა.

სწორედ შრომამ, გაუტეხელმა შემართებამ, საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მოქნილმა და უნარიანმა ხელმძღვანელობამ განაპირობა, რომ ქალაქის მშრომელებმა უკანასკნელ წლებში გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს; მეშახტეებმა მიწის წიაღიდან ამოღებული ათასი ტონობით ზეგეგმითი ქვანახშირი მისცეს დედასამშობლოს.

მე-6 შახტის მე-4 უბანში ვიმყოფებით. ეს უბანი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე უბანია. სახელდახელოდ ვესაუბრებით კომპლექსური ბრიგადის



ტყვარჩელი.



№ 6 შახტის მუშა ვალიკო ჯონუა.



№ 6 შახტის № 4 უბნის ბრიგადირი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რეზო დემურია.



საბაგირო გზები.


ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 6 შახტის უფროსი ევგენი რევია. შახტის უბნის უფროსი ოევაზ ხელაძე, მთ. ინჟინრის მოადგილე კუკური ნოზაძე და უბნის უფროსი მურმან ჭარბაძე იხილავენ № 6 შახტის პერსპექტიულ გეგმას.




მათ კარგაი, ილიან წყდოლ. თ.ს.



სასადილოში.

ბრიგადირს რეზო დემურიას. მოწინავე მეშახტეებს ბიჭიკო გერგაიას, რეზო მუზაევს, ფელიქს გერმაგენოვს, გენადი ვასილიევს, ილია შამათავას, სურენ ჟიბას, პარმენ ფარულავას...

— ეს ბიჭები, არა მარტო ეს ვაჟკაცები — ბრიგადის ყველა წევრი შრომაში სახელმოხვეჭილი მეშახტეა. — გვიხსნის მე-6 შახტის უფროსი ევგენი რევია, — კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც რეზო დემურია ხელმძღვანელობს, სამცვლიანი რეჟიმით მუშაობს. ბრიგადის წევრებმა ვალდებულება აიღეს, რომ ყოველ ცვლაში თითოეულმა მეშახტემ სამშობლოს 2 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცეს.

ყოველ ცვალში თითოეულ მეშახტის მიერ 2 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი ცოტა როდია! შეიძლება ვინმემ თქვას, ეს ხომ წვეთია ზღვაშიო; მართალია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უზარმაზარი ზღვაც სწორედ წვეთებისგან შედგება!

აი, ასეთი შემართება, საერთო საქმეში თავისი წვლილის შეტანის დიდი სურვილი ვიგრძენით ტყვარჩელში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ მწყობრში ჩადგა დოლომიტის მაღაროს კომპლექსი, რომელიც პროდუქციას აწვდის რუსთაველ მეფოლადეებს. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისთვის, როგორც ცნობილია, ბევრი საგანგებო ღონისძიება დაისახა. ერთ-ერთი მათგანი იქნება კერამიკული ნაწარმის ქარხანა, რომელიც ტყვარჩელში აშენდება.

ქალაქის მაჯისცემას, ახალ საწარმოთა შექმნას, მშრომელთა კეთილმოწყობილი საცხოვრებლებით უზრუნველყოფას დიდი შრომა და სწორი ორგანიზირება სჭირდება.

არც ამ საქმეში ირცხვენენ თავს ტყვარჩელელები. აი თუნდაც კომუნალური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო-სარემონტო საამქროს უფროსი მირონ არშბა, მედურგლეთა ბრიგადირის ბრიგადირი იგრიკო ყოლბაია, რიგითი მშენებლები გივი და ვალერი ხარჩილავები, ზაურ ნარმანია, ვალიკო გასეშვილი...

ისინი ბევრნი არიან — საქმე და მიზანი კი ერთი აქვთ: უკეთ იშრომონ, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი დიადი სამშობლოს ხვავისა და ბარაქის შექმნაში.

ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ



მატარებელი შახტიდან.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.



შესვენებაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბრძოლო დიდების მუზეუმი

არის ასეთი მუზეუმი მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში. იგი მოთავსებულია კულტურის სასახლის ყველაზე ვრცელ და ნათელ დარბაზში. უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს. მუზეუმის სულისჩამდგმელია დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სამთო ტექნიკოსი გივი მიქიაშვილი. მრავალი წლის მანძილზე შეუპოვარმა ძიებამ, ექსპონატების შეგროვებამ, თეთრად გათენებულმა ღამეებმა, ნებისყოფამ, მონდომებამ, საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, ქალაქის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების მხარდაჭერამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

ყოველდღიურად მატულობს მუზეუმის ექსპონატები, იზრდება დამთვალიერებელთა რიცხვი, შთაბეჭდილებათა წიგნი ივსება სამადლობელი სტრიქონებით.

შეუძლებელია აუღელვებლად დაათვალიეროთ საბრძოლო დიდების მუზეუმის 1200-ზე მეტი ექსპონატი; ისინი 30 საექსპოზიციო განყოფილებად არის წარმოდგენილი. მუზეუმის დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა გონების თვალით შემოიაროს დიდი სამამულო ომის მთელი ისტორია. დამთვალიერებელი აქ იხილავს საბჭოთა კავშირის გმირების, ქართველი გამოჩენილი გენერლების, ტყიბულელი მეომრების მამაცურ სახეებს; აქვეა შინმოუსვლელთა და ომგადახდილთა პირადი სამკუთხა წერილები, ომისდროინდელი გაყვითლებული გაზეთები, ომის ქარცეცხლგამოვლილი საბრძოლო ნივთები, ჯილდოები, ქების სიგელები და სხვა. მუზეუმის კედლებს ამშვენებს ნახატი სურათები, ომის წლებში გავრცელებული პლაკატები, სახელოვანი წინაპრების სურათები. ახლახან მუზეუმი დაამშვენა ორიგინალურმა საექსპოზიციო სტენდმა „დედა — მშობელი გმირისა“. სტენდზე მოთავსებულია სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების — საბჭოთა კავშირის გმირების გ. გაბრიაძის, გენერალ-ლეიტენანტ გ. ალფაიძის, კ. უკლებას, დ. ბაქრაძის, ფორე მოსულიშვილისა და მათი მშობელი დედების პორტრეტები. ამ სტენდზე მოთავსებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე ასეთი წარწერაა: „ჰოლანდიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა დედა — კორნელია ბოონი“.

მუზეუმის ზოგიერთი ექსპონატი იშვიათობას წარმოადგენს. ყურადღებას იპყრობს ვიტრინები, რომლებიც მიძღვნილია ისაია ბერეკაშვილისა და ქართველ მერესიევად აღიარებულ ირაკლი არსენიძისადმი. აღსანიშნავია, რომ ისაია ბერეკაშვილის საბრძოლო იარაღები, პარტიული ბილეთი და სხვა დოკუმენტები ქ. ტყიბულის საბრძოლო დიდების მუზეუმს საზეიმო ვითარებაში გადასცეს პიატიგორსკის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ნ. პისარევმა და გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტმა ვ. გნეუშევმა. ეს რელიკვიები მათ მიერ ნაპოვნი იქნა ორიოდე წლის წინათ იალბუზის კალთებზე ლაშქრობის დროს.

1963 წლის 25 მაისს ადის-აბებაში შეიკრიბნენ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმომადგენლები და მსოფლიოს ამცნეს ერთობის ორგანიზაციის დაარსება.

ამ ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

აი, ასე გაჩნდა მსოფლიოს პროგრესულ მოძრაობაში კიდევ ერთი საგულისხმო თარიღი — „აფრიკის განთავისუფლების დღე“.

საუკუნეების მანძილზე აფრიკის დამონებულ კონტინენტზე უკანასკნელ წლებში მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ძვრები მოხდა. ბევრმა ქვეყანამ უკვე მოიპოვა დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, აფრიკა მსოფლიოში ჯერ კიდევ რჩება ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა დარაზმვის პლაცდარმად.

შორს აღარ არის ის დღე, როცა „შავ კონტინენტზე“ სანუკვარი ნათელი დაისადგურებს და განთავისუფლებული ქვეყნების მილიონობით მშრომელი თავისი მიწა-წყლის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდება.



ალჟირი. ქალაქი კონსტანტინე

მაროკო. ქ. მარაკეში. მსახიობები.



ამას წინათ ტყიბულის საბრძოლო დიდების მუზეუმის საორგანიზაციო საბჭომ მიიღო თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანხმობა საშეფო დახმარების გაწევის შესახებ.

საბრძოლო დიდების მუზეუმის საბჭოს ინიციატივით კარგი სიახლე დაიბადა: მაგნიტოფონის ფირზე იქნა ჩაწერილი დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი სიმღერები, ლექსები, ისტორიული სიტყვები, ცნობილი დიქტორის ლევიტანის ხმა, პიონერული რაზმეულის შეკრებების მსვლელობა და სხვა.

საბრძოლო დიდების მუზეუმი ახალგაზრდობის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის ნამდვილ კერად, წმიდათაწმიდა ადგილად გადაიქცა. აქ ხშირად იკრიბებიან პიონერ-მოსწავლეები.

საბრძოლო დიდების მუზეუმი შემოქმედების შთაგონების წყაროს წარმოადგენს. მუზეუმში არსებული მასალების საფუძველზე მრავალმა სტუდენტმა და მოსწავლემ დაამუშავა თემები; ნახატი სურათები, სკულპტურული ნამუშევრები შექმნეს ლ. ქემოკლიძემ, მ. ბარანოვმა, თ. ფოფხაძემ და სხვებმა.

დღემდე ტყიბულის საბრძოლო დიდების მუზეუმი 5000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. მათ მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში მადლიერების გრძნობით აღსავსე სტრიქონები ჩაწერეს.

მუზეუმის საორგანიზაციო საბჭომ შეიმუშავა სპეციალური სამუშაო გეგმა. გათვალისწინებულია ექსპოზიციების განახლება, თემატური ალბომების შევსება, შეხვედრები შინმოუსვლელ ჯარისკაცთა მშობლებთან, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულ ახალგაზრდებთან, წერილობითი კავშირის დამყარება იმ ქალაქების ომის ვეტერანებთან, რომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ ტყიბულელი მეომრები, შინმოუსვლელთა საფლავების მიკვლევა და სხვა.

ვუსურვოთ სასიქადულო მამულიშვილს, საშვილიშვილო საქმის თაოსანს, იმ ქარცეცხლიან დღეთა მემატიანეს გ. მიქიაშვილს და მთელს კოლექტივს კიდევ უფრო გაემდიდრებინოთ საბრძოლო დიდების მუზეუმი ახალი ექსპონატებით.

**გივი გეწაძე,**

გაზეთ „ტყიბულის" რედაქციის განყოფილების გამგე.



ტუნისი. სასტუმრო „ამილქარი".



მაროკო. მარაკეშის წყლის გამყიდველები.

# აფრიკის ცის ქვეშ

## 25 მაისი აფრიკის განთავისუფლების დღეა

ამ რამდენიმე ხნის წინათ აფრიკის ქვეყნებში იმოგზაურა საბჭოთა მეცნიერების, კულტურის, საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა. ამ ჯგუფის ძირითადი მიზანი იყო, აფრიკელი მშრომელებისთვის გაეცნო ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, მოეთხრო მათთვის საბჭოთა მეცნიერების, ეკონომიკის, კულტურის მიღწევებზე.

ჩვენი სამშობლოდან წარგზავნილთა შორის იყო თელავის რაიონის სოფელ იყალთოს შ. რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ინჟინერ-ტექნოლოგი გიორგი შათირიშვილი.

მკითხველებს ვთავაზობთ მის მიერ აფრიკის კონტინენტზე გადაღებულ რამდენიმე ფოტოსურათს.

გიორგი შათირიშვილის ფოტო.

მაროკო. გლეხები ასე პრიმიტიულად ამუშავებენ მიწას.





მაროკო. გველის მომთვინიერებელი.



ალჟირი. მოხუცი ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხერხეულიძეთა მეათე ძმა

შალვა შაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერი იყო, მაგრამ ისეთი მზიანი დღე იდგა, ოქროს შემოდგომა გეგონებოდათ. მთელი სოფელი ბაღ-ვენახებს მოჰფენოდა. ზოგი ვაზს სხლავდა, ზოგი ბარავდა, ზოგი ღობეებს ასწორებდა. მომეწყინა შინ ყოფნა, სასხლავი ავიღე და ვენახისაკენ გავწიე. მდინარე თეძამი ისე წმინდა მოდიოდა, ფსკერზე კენჭები ჩანდა. ჩვენი ვენახი თეძმის გაღმა იყო, ამიტომ მდინარე გავტოპე. მესიამოვნა კიდეც ამაჭრებული წყალი... თეძმის ნაპირას ჯერ ქამხაანთ ნიკას ვენახი უნდა გამევლო, შემდეგ კი გიგას ვენახის მიჯნაზე გავსულიყავი. ბილიკი, რომელიც ჩემი ვენახისაკენ მიდიოდა, სწორედ გიგას ვენახის კიდეზე იყო დაქნილი. ის იყო კომშებს გავცდი, ვენახის სიღრმიდან გიგას ხმა შემომესმა:

— გამარჯობა, ზაალ, ვაზი უნდა გასხლა?!

— გაგიმარჯოს, ძია გიგა! — სალამზე სალმით ვუპასუხე და თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ბილიკს ავუყევი და ვენახში შევედი. ვაზის გასხვლა ბოლოდან დავიწყე. სასიამოვნო ამინდი იდგა. ნელ-ნელა ვსხლავდი თავკვერს, ჩინურსა და მწვანეს. თავკვერს დასაწიდნად გრძელ რქებს ვუტოვებდი. მინდოდა, გამემრავლებინა ეს დალოცვილი ჯიში.

დღე უფრო და უფრო ტკბებოდა. მზე ათბობდა მიწას, მცენარეს, ადამიანს.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვმუშაობდი, მზე ოდნავ დასავლეთით გადაიხარა.
ანაზდეულად ქვემომხრიდან გიგას ხმა შემომესმა:

— კარგა ბლომად გაგისხლავს, ზაალ! ახლა კი წავიდეთ, მარანს ჩავხედოთ, ვნახოთ, როგორ დაიდუღა თავკვერმა!

გიგას მარანი ვენახის ბოლოში ჰქონდა. აღარ გავჯანჯლებულვარ. ბილიკს ჩავუყევით და მარანში შევედით. გიგამ ბარს ხელი წამოავლო, ქვევრის თავს პირი მოუსუფთავა. ბუხარში ცეცხლი ენთო. იქვე ხის შამფურებზე აგებული თხის მწვადი შევნიშნე.

გიგამ კედლიდან კალათი ჩამოიღო, მუჭით კაკალი ამოიღო და სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე დაყარა. მალე მწვადის სუნი დატრიალდა. ცხავატური თიხის სალვინე დადუღებული თავკვერით აავსო და გვერდით დაიდგა. ჯერ ერთი ფიალა აავსო მაჭრით, მერე — მეორე. ერთი მე მომაწოდა, მეორე კი თვითონ აიღო; მერე გიგა ბუხარს მიუბრუნდა, მწვადებს გვერდი უცვალა, ცეცხლს მიუჩხრიკა.

— მწვადიც მალე იქნება, მანამ აი, კაკალი გატეხე, უხდება მაჭარსა!

სტუმრის პატივისცემა იცოდა იმ დალოცვილმა. მხოლოდ სტუმართან ამოიდგამდა ენას, ისე კი უთქმელი კაცი იყო.

ნელ-ნელა შემოიპარა ბინდი მარანში. ცეცხლზე მწვადის მადის აღმძვრელი ცვარი ილვენთებოდა.

თეძმის ნაპირზე, დიდი კაკლის ქვეშ, ვიღაცამ გაიარა; მარნიდან კარგად ჩანდა. გიგამ ქეშად გახედა, დააკვირდა. სახე მოეღრუბლა. თითქოს რაღაც ბოლმა მოაწვაო. მოუსვენრობა დაეტყო. ისევ თეძმის პირს გააყოლა მზერა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— შხამიანმა გველმა გაიარა!..

გამიკვირდა, მაგრამ მასპინძლისათვის არაფერი მიკითხავს.

გიგამ მოიწყინა. ისევ თეძმის ტალღებს გააყოლა მზერა და ფიქრმა წაიღო. შეშფოთების მიზეზს ვერ მივუხვდი.

ყველა კაცს თავისი ფიქრი და დარდი აქვს, ყველას რაღაც აწუხებს, ალბათ, გიგასაც ჰქონდა აღელვებისა და ფიქრის მიზეზი.

უხერხულობისაგან თავის დასაღწევად მარნიდან ვენახში გავედი. თეძმის ნაპირზე მიმავალ კაცს გავხედე. კარგად დავაკვირდი, მაგრამ ვერ ვიცანი. მარანში შევბრუნდი. გიგამ შემომხედა და ნაღვლიანად თქვა:

— ხერხეულიძეთა მეათე ძმის — თედოსეს მოსაგონარი იყოს!..

ალბათ, სახეზე გაკვირვება გამომეხატა, გიგამ თავისი ჭკვიანური ცისფერი თვალები შემომანათა და დააყოლა:

— არ გაგიგია თედოსე ხერხეულიძე?! ჰო, შენ პატარა იქნებოდი მაშინ!

ჩაფიქრებული გიგა ბუხარში იფნის ნაღვერდალს მიშტერებოდა. მის სულში რაღაც დაუოკებელი ქარიშხალი ბობოქრობდა. სახეზე მღელვარების ალი გადაჰკვროდა, ნერვიულობის აშკარა ელფერი ემატებოდა.

მარანში დუმილმა დაისადგურა. ანაზდეულად სოფლის განთქმული გუთნისდედა გოგიაანთ კოლა და მისი მეხრე, გიგას ძმისწული გაბრო წამოგვადგნენ თავს.

— რა კარგ დროს მოვედით! — ღიმილით თქვა კოლამ.

გიგა ფიქრიდან გამოერკვა. კედელთან მიდგმული სამფეხა სკამი აიღო და კოლას გაუწოდა.

— შენ კი წალმის კონაზე ჩამოჯექი! — მიმართა ძმისწულს.

მასპინძელმა შემოსწრებისა დაალევინა მინდვრიდან დაბრუნებულთ.

— აი, მაჭარიც ასეთი უნდა! — თქვა მოწონების ნიშნად კოლამ, როცა თავკვერით სავსე ფიალა გამოსცალა.

გიგამ ბუხრიდან მწვადიანი შამფური გამოიღო და ორჯამიანში ჩათალა.

როცა გუთნისდედამ და მეხრემ მეორე ფიალა გამოსცალეს, გიგას შეჭმუხნილ შუბლს გაოცებით შეხედეს.

— რა იყო, ბიძაჩემო, ხომ არავინ გაწყენინა?! — ჰკითხა გაბრომ.

მცირე ფიქრის შემდეგ გიგამ ბოლმიანად მიმართა ახლად შემოსწრებულთ.

— გზაზე შხამიანი გველი არ შეგხვდათ?!.

— შეგვხვდა, მაგრამ გზა ავუქციეთ!

ჩემში კიდევ უფრო მეტად გაიღვიძა ცნობისმოყვარეობამ, მინდოდა, გამეგო იმ კაცის ამბავი, მაგრამ დუმილი ვარჩიე. ვიფიქრე, ჩემი შეკითხვით გიგას კიდევ უფრო არ წაუხდეს ხასიათი-მეთქი. მორიდებით შევხედე. შუბლი ისე დაკოპილი ჰქონდა, უჭირდა ლაპარაკი, სახეზე ფერი წასვლოდა; გაოგნებული წამოდგებოდა და თეძმის აღმა გაიხედავდა-ხოლმე.

— წყეული და შერცხვენებული იყოს ცქიფა! — წამოიძახა გუთნისდედამ და თედოსე ხერხეულიძის მოსაგონარი დალია.

გიგამაც ასწია ფიალა, გამოსცალა და მე მომიბრუნდა:

— ზაალ, შენც უნდა იცოდე თედოსეს ამბავი!..

...ეს იყო 1921 წლის თებერვალში. სადგურ გრაკალში მეისრედ ვმუშაობდი. ჩემი ჯიხური გრაკლის ხიდთან ახლოს იყო. ხიდის ქვეშ მტკვარი მიღელავდა. თბილი ზამთარი იდგა და ჯერ კიდევ არ გაყინულიყო წყალი. მენშევიკური მთავრობას უკანასკნელი დღეები ითვლებოდა. რკინიგზა გადატვირთული იყო. თბილისიდან მატარებელი მატარებელს მისდევდა... მენშევიკები გარბოდნენ — ბათუმისაკენ მიისწრაფოდნენ, გემით საზღვარგარეთ რომ გაქცეულიყვნენ. ერთ საღამოს გრაკლის ხიდზე სახალხო მატარებელმა გაიარა და სადგურზე გაჩერდა. ბოლო ვაგონიდან თეთრგვარდიულ ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი და ათიოდე რიგითი თეთრგვარდიელი გადმოვიდა. ისინი ბაქნიდან უკან გაბრუნდნენ და რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვნენ. გვარდიელები დაკიდულ ხიდთან შეჩერდნენ, ხიდი დაათვალიერეს, მისადგომები გასინჯეს. ლიანდაგზე რამდენიმე ადგილი მოსინჯეს და ნიშანი დაადეს. შემდეგ ოფიცერი გვარდიელებს მიუბრუნდა:

— ამაღამ ბოლო მატარებლის ჩავლის შემდეგ ხიდს ააფეთქებთ. ნაღმებს მონიშნულ ადგილებში ჩააწყობთ. გაბედულად იმოქმედეთ. ახლა კი წამოდით, ნაღმით სავსე ყუთები წამოიღეთ!

— ხიდს რომ ავაფეთქებთ, ჩვენ სად წავიდეთ?! — შეეკითხა უფროსს აი, ის კაცი, ახლა თეძმის პირას რომ გაიარა.

— სწორედ ის შხამიანი გველი, ის უხსენებელი იყო, იცნობ? არა? ყველასაგან მოძულებული, დამცირებული და გათახსირებულია. სოფელში კაციშვილი სალამს არ აძლევს; მის დანახვაზე თითქოს გველი დაენახოთო, სამჯერ უნდა გადააფურთხონ, ამაზე დიდი სასჯელი ქვეყანაზე განა არსებობს?! იგი საბჭოთა ხელისუფლებამ დასაჯა — გადასახლებულიც იყო. სასჯელი მოიხადა, მაგრამ მაინც სძულს სოფელს. უხსენებელიც სოფელმა შეარქვა, თორემ ნამდვილი სახელი ცქიფა ჰქვია.

მოდი დალაგებით მოგიყვებით.

— თქვენ სად წახვალთ?! — მიმართა უხსენებელს უფროსმა და კითხვაზე თვითონვე უპასუხა: — სადგურში მატარებელი დაგელოდებათ. როგორც კი ააფეთქებთ, სწრაფად მიაშურეთ მატარებელს, ბათუმში ჩამოხვალთ და აიდა, საფრანგეთისაკენ — სიმდიდრე, ფუფუნება; შემდეგ კი დიდი ჯარით ისევ დავბრუნდებით და ბოლშევიკებისაგან გავანთავისუფლებთ საქართველოს!

სადგურში ყველანი მატარებელთან მივიდნენ. თეთრგვარდიელებმა ბოლო ვაგონიდან ნაღმით სავსე ყუთები გადმოიღეს და ხიდთან მიიტანეს. ჩასაფრდნენ. როცა კარგად დაღამდა, ლიანდაგი დანაღმეს. აი, ის ცქიფა-უხსენებელი ხელმძღვანელობდა ხიდის აფეთქებას. ხუთი გვარდიელი ერთ მხარეს ჩასაფრდა, ხუთი — მეორე მხარეს. თოფები მოიმარჯვეს და ბოლო მატარებლის გავლას დაელოდნენ. ზონარის ბოლო ხელში სწორედ უხსენებელს ეჭირა. კარგად შეღამებული იყო, თედოსე ხერხეულიძე რომ გამოჩნდა. იგი ჩემთან ჯიხურში შემოვიდა. საიდუმლო გამანდო — ხიდი აფეთქებისაგან უნდა გადავარჩინოთო.

ხიდი არ უნდა აფეთქდეს! — ასეთი იყო დავალება.

— ხერხეულიძე არა მარტო ლამაზი, ახოვანი, პირმშვენიერი და მოხდენილი ჭაბუკი იყო, არამედ გულადი და შეუპოვარიც. მთელ სოფელს უყვარდა იგი. შიში რა იყო, არ იცოდა, ლხინში პირველ მოცეკვავედ ითვლებოდა, ქალიშვილები იმის ცქერით ვერა ძღებოდნენ.

...ყოველ მათ მოძრაობას თვალს ვადევნებდით. ჩვენი გეგმა გვქონდა — ზონარი ჩუმად უნდა

# ლადო სულაბერიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძეს აქვს მრავალი კარგი ლექსი, მაგრამ ამჯერად მე ერთი განსაკუთრებით მინდა გამოვყო. ამ ლექსში ასეთი ამბავია აღწერილი: ზის ჯარისკაცი გათოშილ სანგარში, ფრონტზე წუთით მყუდროება ჩამოვარდნილა და ჯარისკაცი ფიქრებს მისცემია. ჯარისკაცი პოეტია; მისი ფიქრი ლექსად და ოცნებად ქცეულა, ლოცვასა ჰგავს ჯარისკაცის ფიქრი, ჰგავს ყველაზე დიდი სანატრელისაკენ სწრაფვას. ვიღაც ელანდება მას ამ ზმანებაში, ვიღაცას ესაუბრება, ემუდარება და ეალერსება. ჯარისკაცმა არ იცის, სად არის ეს ვიღაც, რომელ სოფელშია, რომელ ქალაქში... მისი სახელიც არ იცის, მხოლოდ ის იცის, რომ არის ქვეყანაზე ერთი თოთო ბავშვი, პაწია გოგონა, რომელსაც ჯერ ენაც არ ამოუდგამს, მაგრამ გაიზრდება და აყვავდება, ტანს აიყრის, მერე უცებ შეეფეთება ჯარისკაცის ვაჟს, ახლა იმ გოგონასავით პატარას, სადღაც შორს, ცხრა მთას იქეთ, საქართველოში რომ დატოვა ომში წამოსულმა მამამ.

გზაჯვარედინზე შეგეჩეხება,
წინ გაუქროლებ თეთრი მერდინით,
ინატრებს შენი ლანდის შეხებას
და ის პატარა გზაჯვარედინი
ამიერიდან იქნება მისი
მთელი ცხოვრების გზაჯვარედინად.

ფიქრით შინ არის ჯარისკაცი, ფიქრით მომავალშია იგი, დაზრდილან პატარები, იგი თითქოს ხედავს კიდეც როგორ დაიარება მისი ბიჭი იმ ქუჩაზე, სადაც მისი ოცნების ქალიშვილი ცხოვრობს:

ის იმ ქუჩაზე ივლის მარადის,
რომელზეც გავლა შენ გეყვარება,
მოვა იმ შენი სახლის კარამდის,
შინ მობრუნება შეეზარება,
გაეღვიძება დედამისს გვიან,
მე გამაღვიძებს, მკითხავს — სად არი?

მაგრამ მალე უწყდება ფიქრი ჯარისკაცს, თავისი ბედი აგონდება:

იქნებ ასეც მოხდეს ჩემსავით
ომში წავიდეს და დაიკარგოს,
შინ დარჩეს დედა და ნათესავი
და ყველას მკვდარი ეგონოს, კარგო!
ის კი დაჭრილი ეგდება სადმე
და სიკვდილის წინ შენეულ ჭადრებს
ის მოიგონებს...
მერე ინატრებს ცეცხლთან გათბობას,
წვიმაში ძონძის სადმე გაშრობას,
გაუმწარდება ახალგაზრდობა,
მოენატრება ისევ ბავშვობა.
სხვა ქვეყანაში დაღლის დარდები
და საქართველო მოენატრება,
სადაც შეხვდება უცხო ჭადრები,
მოეჩვენება იმ შენს ჭადრებად.

ვინ იცის, ესეც შეიძლება მოხდეს, შეძრწუნებულია ჯარისკაცი და მისი სატკივარი უცებ იქცევა მთელი მსოფლიოს სატკივრად, და ის უკვე ჩუმად კი აღარ ფიქრობს, ხმამაღლა იძახის:

ამიტომ არ მსურს ომი საზარი,
ამიტომ მინდა ქვეყნად მშვიდობა,
არ დაგენისლოს თვალი მწყაზარი,
არ დაგაშოროთ იმ წყალდიდობამ.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობებისათვის ომი ისტორია, წიგნებში წაკითხული ამბავია. ლადო სულაბერიძისა და მისი ტოლებისათვის ომი მათივე ბიოგრაფიაა; მათი შემოქმედებისათვის და მთელი ჩვენი პოეზიისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს... ქართველი პოეტი მუდამ განუყრელი იყო სამშობლოს ისტორიისაგან. ამიტომ წერდნენ ქართველი პოეტები ყვავილებზეც და ფოლადზეც; მათ კარგად იციან, რომ ამ ფოლადმა იხსნა კაცობრიობა დაღუპვისაგან. აბა, ერთი წუთით ჩავუფიქრდეთ, რა დაემართებოდა მსოფლიოს, რომ არ ყოფილიყო ის ინდუსტრია, ჩვენმა ხუთწლედებმა რომ გამოსჭედეს, ის შეიარაღება რომ არა, საბჭოთა ქვეყანამ თავისი არმია რომ აღჭურვა. აბა არ ამოქმედებულიყო ბრძმედები საბჭოეთის მთელ მიწა-წყალზე, ფერფლილა დარჩებოდა ქალაქებისა და სოფლებისაგან და ყველას — ჩვენ, და ჩვენს შვილებს მონის უღელი გვედგმებოდა ქედზე.

აი, რა შინაარსი აქვს, რა აზრი და იდეა საბჭოთა პოეტის ლექსებს ქარხნებსა და შრომაზე.

ლადო სულაბერიძე არის თავისებური ხმის მქონე, მეტად გულითადი პოეტი, ყოველი თემა — და კერძოდ, თუნდაც თემა ინჟინრის შრომისა, ხიდებს რომ აშენებს — მის ლექსში იქცევა ჭეშმარიტ პოეზიად. მან იცის პოეზიის კუთხიდან შეჰხედოს სამყაროს და დაანახოს როგორ გადადის ხიდზე აპრილი, გადადის ზედ თოვლიანი ზამთარიც, ერთდება ორი ნაპირი და ერთდებიან აქეთ-იქით მობინადრე ჯეჯილები.

ლადო სულაბერიძის ბოლოდროინდელი ნაწარმოებებიდან მინდა, აღვნიშნო მისი „ლენინგრადის შემოდგომის ქრონიკები“, რომელშიც პოეტმა გამოხატა მთელი ჩვენი ხალხის ტრფიალი და სიყვარული რევოლუციის ამ დიდი აკვნისადმი, ლენინის ქალაქისადმი.

ლადო სულაბერიძე ერთგულად იცავს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ტრადიციას — ეს გახლავთ უნაზესი ლირიზმის შერწყმა-შეთავსება მოქალაქეობრივ პოეზიასთან. პოეტი მუდამ დროულად ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების აქტუალურ მოვლენებს, იგი მუდამ მჩქეფარე ცხოვრების შუაგულშია და მისი ლექსი მუდამ დამუხტულია საბჭოთა პატრიოტიზმის უკვდავი იდეებით. იგი წერს ჩვენს გმირულ წარსულზე და სასახელო აწმყოზე; წერს გატაცებით, გულში ჩამწვდომად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლექსები „ბახტრიონის ჩრდილი“, „ზედაზნიდან“, „მარადი ცეცხლი არაგველების ობელისკთან“, „ვაჟა მიხმობდა, მაქეზებდა“, „სანგარი“, „აცდენილი ტყვია“, ციკლი ლექსებისა „ჩრდილოეთის ციალი“ და სხვ.

ამავე დროს, ლადო სულაბერიძე მაღალი ოსტატობით გამოხატავს ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს მთელ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას თვით უფაქიზეს ნიუანსებამდე, აქ პოეტის სიტყვა და სახე უაღრესად დამტევი და ყოვლისმომცველია, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „სიმღერის ბიჭი“, „წვიმა“, „იპოვის ვინმე“, „ვარ მონატრული“, „გადამიყვანე გაღმა ნაპირზე“, „პატარა ჩიხში“, „მთის ყვავილები“, „შენი ღრუბელი“, „პატარა ზარი“ და სხვ.

ლადო სულაბერიძის პოეზიაში მთელი ძალით აღიბეჭდა ჩვენი საუკუნის რიტმი და ხმიანობა; მის ლექსებში ჩანს კეთილშობილური მისწრაფებანი იმ თაობისა, რომელიც ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევიდა როგორც მამაც მხედართა და მშენებელთა თაობა.

მივულოცოთ ჩვენს ლადოს დაბადების სამოცი წელი და ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი ჩვენი ხალხისა და ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

**გიორგი ნატროშვილი.**

---

გადაგვეჭრა. ეს ამოცანა იოლი როდი იყო. ხიდისყურთან მისვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული — გვარდიელები შეგვამჩნევდნენ თუ არა, მაშინვე გვესროდნენ.

— ვიდრე მატარებელი გაივლის, თავს დავესხათ, მერე გვიან იქნება! — მითხრა ხერხეულიძემ.

— ეგ შეუძლებელია! — ვუპასუხე და ჩემი წინადადება გავაცანი — ნავით გადავცუროთ მტკვარი და ხიდს მეორე მხრიდან მოვუაროთ, სიბნელეში ვერ შეგვამჩნევენ და მაკრატლით ზონარი გადავჭრათ. ამასობაში მატარებლიც მოვა, ისინი სადგურისაკენ გაიქცევიან.

ხერხეულიძე არ დამთანხმდა, მან ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და მითხრა:

— გვიან არის, საცაა მატარებელი გამოივლის და მტკვრიდან ამოსვლას ვერ მოვასწრებთ.

— მაშინ მე გადავცურავ! — ვუპასუხე.

— აბა, სცადე! — მითხრა მან.

მაშინვე ფონისაკენ დავეშვი. მაკრატლის რგოლში ქამარი გავუყარე და წელზე შემოვირტყი. მალე ჩავაღწიე მდინარემდე, პატარა ნავი მტკვარში შევაცურე; ის იყო მტკვრის მეორე ნაპირს მივადექი, მატარებელიც გამოჩნდა — ვეღარ მივუსწარი.

სველი და გაყინული მივფოფხავდი ბექობისაკენ, მატარებელმა ხიდზე გაიარა თუ არა, სროლის ხმაც შემომესმა. გავიდა მცირე ხანი და ძლიერი აფეთქების ხმამ შესძრა კვერნაკის კლდეები...

თეთრგვარდიელებმა ხიდი ააფეთქეს. იმ ღამეს დაიღუპა თედოსე. მატარებელი სანამ ხიდზე გაივლიდა, ხერხეულიძეს უნდოდა პირდაპირი გარბენით ზონარამდე მიეღწია, მაგრამ თეთრგვარდიელებს შეუნიშნავთ, ზურგში უსვრიათ. მეორე დილით მტკვრის ნაპირზე ვიპოვე მკვდარი.

იმავე დღეს გაიგეს ჩვენებურებმა მისი სიკვდილი, მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ვიტირეთ, ვიგლოვეთ და მიწას მივაბარეთ ის უბედური. მას აქეთ მუდამ თვალწინ მიდგას თედოსე ხერხეულიძე! — დაასრულა გიგამ. ღვინით სავსე ფიალა აიღო და კვლავ ნაღვლიანად დაილოცა:

— ხერხეულიძეთა მეათე ძმის — თედოსეს მოსაგონარი იყოს!

# იაკობ ცურტაველის ფერწერული სახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ცურტაველის ლიტერატურული ავტოპორტრეტი მოცემულია თვით „შუშანიკის წამებაში“ — ავტორს თავი ნაწარმოების პერსონაჟად გამოჰყავს და საკმაოდ ნათლადაც გვიხატავს საკუთარ სახეს, მაგრამ აქ უფრო მაინც ჩანს მისი სულიერი ბუნება და ნაკლებად — „სული განსხეულებული“. თუმცა ესეც კი უჩვეულო იყო აგიოგრაფიისათვის. ფერწერაში მსგავს ავტოპორტრეტებს ქმნიან მხოლოდ რენესანსისდროინდელი მხატვრები, როცა ანტიკურ თუ ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებულ კომპოზიციებში საკუთარ ავტოპორტრეტს ჩაახატავდნენ ხოლმე. იაკობ ცურტაველი ამ მხრივაც გამონაკლისია.

იაკობ ცურტაველის პორტრეტი არ შემოგვრჩენია (არც იყო მოსალოდნელი იმ საქმიანობით, რაც ჩვენ მასზე ვიცით), ფრესკებზე ხომ წმინდანებს და კტიტორებს ხატავდნენ (თვით რუსთველიც კი არ დაუხატავთ ფრესკაზე როგორც მწერალი, დახატეს როგორც მომპატრონებელი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისა). კიდევაც რომ შემოგვრჩენოდა იაკობის სახება, იგი იქნებოდა ფრესკა და არა პორტრეტი. ფრესკას პიროვნების ინდივიდუალური პორტრეტული სახე არ აინტერესებდა. ფრესკას პიროვნება აინტერესებდა არა ისე, როგორიც იგი იყო, არამედ ისე, როგორიც უნდა ყოფილიყო. მეფე იხატებოდა როგორც მეფე და არა როგორც პიროვნება.

დღეს მხატვარს, როცა იგი იაკობ ცურტაველის პორტრეტს ქმნის, ერთგვარად ფრესკული შემოქმედებითი პრინციპით უხდება მუშაობა. ამგვარი რამ უდავოდ იგრძნობა ზურაბ სამხარაძისეულ იაკობ ცურტაველის ფერწერულ სახეში.

ზ. სამხარაძემ შექმნა იაკობ ცურტაველის ჭეშმარიტად შთამბეჭდავი სახე. ესაა ვრცელი ტილო ფრესკული პროპორციით (1X2 მ.), რაც სტილიზებულად დაგრძელებულ ფიგურას მონუმენტურობას ანიჭებს. ფონიც ფრესკულია არა მარტო სიღრმეში ტაძრის თაღის მიმანიშნებელი დეტალით ან კედლის მრგლოვანი წარწერით („იაკობ“), არამედ ფერით, ხორბლისფერი სიძველეშერეული კოლორიტით. ფონის ფერი ფრესკულად მქრალია და სხეულის დაწერილობასთან ქმნის სასურველ კონტრასტს, რაც დიდად უწყობს ხელს სხეულის პლასტიკურობას, ტანსაცმლის დრაპირების სიმძიმის ალქმას. ტანსაცმლის დაწერილობის კოლორიტი (ბროწეულის ფერისა და მუქი ლურჯი), თუ შეიძლება ითქვას, რენესანსული ტიპის კონტრასტს ემყარება. სიღრმისეული ინტენსიობით ეს ფერები, თავისთავად ურთიერთკონტრსტულნი, თითქოს ერთმანეთს ეხმიანებიან. ტანსაცმელი ნაკლებგანათებულია, სინათლეს თვით ფერის ინტენსიობა ქმნის. ტანსაცმლის ბერული ფაქტურა თითქოსდა ახშობს შუქს, არ აირეკლავს მას.

შინაგანად გასხივოსნებული სახე და კდემით „მოძრავი“ მარჯვენა ხელი ამ ნაწარმოების კომპოზიციური ცენტრია. შუა საუკუნეების უდიდესი თეორეტიკოსი და საქართველოში დიდად პოპულარული ავტორი გრიგოლ ნოსელი თავის მთავარ ნაშრომში აღნიშნავდა: ადამიანის სხეულიდან, რაც მისი სულის მოძრაობას გამოხატავს, ესაა თვალები დ ხელები. ესენი აირეკლავენ სულის მოძრაობასო.

ზურაბ სამხარაძისეული იაკობი სიბრძნესა და ხასიათის სიმტკიცეს ასხივებს. მისი რამდენადმე შიგჩაბრუნებული მზერა ყოველგვარ ბანალურობაზე ამაღლებული ღირსებით აღვსილი იდუმალებით მოსავს პორტრეტს. სახისა და ხელის ფერი ფონს უახლოვდება, უფრო ფრესკულია. ხელის მოძრაობაც რაინდულ რევერანსს უფრო უახლოვდება, ვიდრე ვედრების ტრადიციულ ჟესტს.

პორტრეტი უდავოდ სავსეა დარბაისლობით, დაცლილია ყოველგვარი ყალბი მანერულობისაგან. ასეთი ნაშრომები იმის დასტურიცაა, რომ კლასიკურ რეალისტურ ფერწერას ყოველთვის აქვს თავისი ადგილი და მნიშვნელობა. ზურაბ სამხარაძის ნაწარმოები ძირითადად ტრადიციული მანერითაა შესრულებული, მაგრამ ამ შემთხვევაში მისალებ სტილიზებას მეტად ზომიერ ფორმებში გვთავაზობს. სხეულის ნაწილთა მხატვრულად გამართლებული დისპროპორციით იგი მონუმენტურობის მეტად სასურველ ეფექტს ქმნის; ამიტომ პორტრეტი მდგრადია, ტრადიციული კლასიკური ფორმით გაწონასწორებული.

ამრიგად, შეიქმნა იაკობ ცურტაველის მაღალმხატვრული სახე, რომელიც უთუოდ დამკვიდრდება ქართულ პორტრეტულ ფერწერაში.

**რევაზ სირაძე**

# მის ფუნჯში ეხლაც ჰყვავის სიჭაბუკე...



სოხუმში ცხოვრობს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ვარვარა დიმიტრის ასული ბუბნოვა, უაღრესად განათლებული, ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი ქალი. მასთან საუბარი სახვითი ხელოვნების თეორიასა თუ საერთოდ მხატვრობაზე, პლასტიკურ ფორმასა თუ კომპოზიციაზე, რიტმსა და ფერებზე, მისი ნამუშევრების — ნახატებისა და ნატიფი გრავიურების, პეიზაჟების, ჩვენი თანამედროვეთა პორტრეტების ხილვა უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ.

ვარვარა ბუბნოვა 1886 წელს დაიბადა. მისი დედა — გვარად ვულფი „პუშკინისეული“ ვულფების შთამომავალია. ვ. ბუბნოვას პაპას — ალექსი ვულფისა და ანა კერნის ბიძაშვილს — ეკუთვნოდა ბერნოვოს მამული. ბერნოვოს მდინარესთან დაკავშირებული ლეგენდა საფუძვლად დაედო ა. პუშკინის „ალს“.

ვარვარას ახსოვს ლევიტანი, რომელმაც იქ შექმნა თავისი საქვეყნოდ ცნობილი სურათი „მორევთან“.

საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო ვ. ბუბნოვამ; განათლება და პროფესიული მომზადება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო და თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველი წლები გაატარა ისეთ მხატვართა გარემოცვაში, როგორიც იყვნენ ფილონოვი, როდჩენკო, ფალკი, კანდინსკი, ფალილეევი და სხვ.

1919 წელს განსახკომის სახელმწიფო გამომცემლობამ ვ. მაიაკოვსკის წინადადებით გამოსცა მარკოვის წიგნი „ზანგთა ხელოვნება“, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა ვ. ბუბნოვას წინასიტყვაობა. და აი ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამ წიგნმა სენსაცია მოახდინა აფრიკის კულტურის საკითხებზე გამართული ერთ-ერთი სიმპოზიუმის დროს: პირველად ევროპაში რევოლუციურ რუსეთში გამოვიდა ნაშრომი, სადაც პროფესიულად და ღრმად იყო გაანალიზებული ბენინისა და ზიმბაბვეს პლასტიკა.

ახლა ვ. ბუბნოვა 93 წლისაა. ოცდათექვსმეტი წელი ვ. ბუბნოვამ ამომავალი მზის ქვეყანაში — იაპონიაში გაატარა, სადაც ხაკუსაიმ უკვე შექმნა ფერადი გრავიურები „ფუძის 36 ხედი“.

იაპონიაში ბუბნოვა რუსულ ლიტერატურას ასწავლიდა ტოკიოს ვასედას უნივერსიტეტში და რუსული და საბჭოთა ლიტერატურის ბევრი სპეციალისტი აღზარდა. იგი ეწეოდა დიდ კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განმტკიცებას. მისი დიდი მეგობარი გახლდათ ყველაზე ეროვნული იაპონელი მხატვარი მუნაკატო სიკო.

ბუბნოვა სამშობლოში 1958 წელს დაბრუნდა, მას აქეთ სოხუმში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

კლასიკურმა განათლებამ, რუსული ფერწერის ტრადიციებმა, აღმოსავლური, იაპონური სკოლის გავლენამ ბუბნოვას შემოქმედებას ორიგინალობა და თავისებური კოლორიტი მიანიჭა.

ვ. ბუბნოვას ნამუშევრები ექსპონირებული იყო იაპონიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ გამოფენებზე. მისი ბევრი ნამუშევარი ხშირად ამშვენებს მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, სოხუმის სამხატვრო გალერეებს.

1960 წელს ვ. ბუბნოვას მეგობრებმა, ჩვენმა სახელოვანმა მხატვრებმა ა. ახვლედიანმა, ლ. გუდიაშვილმა და უ. ჯაფარიძემ პირველი პერსონალური გამოფენა მოუწყვეს თბილისში.

...რამდენი მომხიბლაობაა ამ პატარა, ნაზ ქალში, რამდენი რამ შეუქმნია ამ პატარა ხელებით, როგორ უყვარს ხელოვნება. ეს კი რწმენას გვინერგავს, რომ მისი შემოქმედება მარად უშრეტი იქნება.

**გიორგი კერესელიძე.**



# იაკობ ცურტაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი
ზურაბ სამხარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოხუცი იაპონელი ქალი.



მარტოობა.

# ვარვარა ბუბნოვა

ბებერი „საკურა“.



ხეებს ქვეშ.






ნამუშევრები ციკლიდან „ქართველები აშენებენ კამაზს“. მხატვარი გ. დოლენჯაშვილი




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







„შინმოუსვლელთა მემორიალი“
ქ. გურჯაანში
კომპლექსის ავტორები:
მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი,
მხატვარი გრიგოლ ჩირინაშვილი,
მოქანდაკე ტატიანა კიკაბიძე,
არქიტექტორები გივი ჯაფარიძე
და ირაკლი მოსულიშვილი.

# ლექსები

## მანანა ჩიტიშვილი

### გაზაფხული სოფელში

სულს მოსწყურდება
მაჭარივით ზეცის დალევა
და ულდის ხევზე
ხათქა-ხუთქით მიგორავს ზვავი.
ღობის გადაღმა
წარბშეკრული მამლის ნამლევად
ოცი წლის ქვრივი
ეფერება ალუბლის ყვავილს.
ღამით გაღებულ ფანჯარაში
ქანაობს მთვარე,
ხელდება ძაღლი,
სახლთან უცხო თუ დაიგულა....
და ქარი, როგორც
ეჭვიანი, სასტიკი ქმარი,
ალუბლის თითებს
წითელ ბეჭდებს წაჰყრის დიდგულად.

●

და მიტოვებულ აივნებს ათოვს,
და მახსენდები ძალიან გვიან...
მე შენსას არ გთხოვ,
მე სხვისას არ გთხოვ,
მე მხოლოდ ჩემი მომეცი მთლიან.
მე — ჩემი წილი მზეცა და ქარიც,
მე — ჩემი წილი ჯამი და ქვევრი,
მე — ჩემი წილი სესხი და ვალი,
ჩემი სალეწი კალო და კევრი.
დამადგი ქედზე შენი უღელი,
ტყუილუბრალოდ ნუკი მიცოდებ...
რომ მომშივდეს და რომ დავიღალო,
რომ დიდი მადლის ფასი ვიცოდე.
გამაწალდვინე მეც ჩემი ტევრი,
ამანთებინე ჩემი კერია,
თორემ ეგ არი, მოვიდა მტერი,
მოვიდა მტერი და მომერია.

### ქსნის ხეობაში

გამარჯობათ! —
სულ უცნობი გაგცდება კაცი,
თონის პურივით წაგიტეხავს
სითბოს და სალამს,
გაგიგორდება ძუკნასავით
ფეხებში ხნარცვი
და თიხის ჯამით მოგაწვდიან
ღობიდან ღალას.
ფაფახებივით ჩამხობილან
ზვინები ქედთან,
თავზე გადასდით წუნარი მზე და
ნიაღვრის თქეში,
თითქოს ქუდები მოუხდიათ
ამაყ მთებს ერთად,
მერე ტორტმანით
საცეკვაოდ ჩამდგარან წრეში.

## მიხეილ ჩაჩუა

### მოსაგონარი

ალეკო შენგელიას,
ოთარ კუპრავას,
მურმან ქოიავას.

მთელი თბილისი შემოვიარე,
სად არ გეძებეთ, სად არ მივედი.
ამივარდება გულის ფრიალი
და... მხოლოდ წამლის ვრჩები
იმედით.

სად გადიკარგეთ, მაინც სამთავე,
ხმა გამაგონეთ, გეყოთ ხუმრობა...
იქნებ ეწვიეთ მცხეთას, სამთავისს,
მერე ლიხს იქით ფიქრობთ
სტუმრობას.

ჯერ ახალ სენაკს — ალეკოს სენაკს,
მერე სოხუმს და გაგრას ეწვევით.
ღვინო აგიხსნით დაბორკილ ენას
და სიყვარულით დაიმეწყრებით.

გატეხავთ პურს და წააქცევთ ჭიქას,
რომ ქვეყნის დარდი მოგეშვათ
გულზე,
ღვინოს დაჯაბნის ლამაზი ფიქრი
და მამულს ფხიზელ თვალებით
უმზერთ.

არ გავიწყდებათ მთავარი, არა,
და ცის ბილიკებს მიჰყვებით დინჯად.
ქართული სიტყვის და ლექსის
ღალატს,
განა არ ვიცი? — სიკვდილი
გიჯობთ.
მაგრამ... სადა ხართ! გულის
ფრიალით
მთელი თბილისი შემოვიარე.
ხმა გამაგონეთ, გეყოთ ხუმრობა....
ნუთუ გეწყინათ ჩემი სტუმრობა?!
მაგრამ სტუმარი არა ვარ უკვე —
კვლავ აქ დავსახლდი, რომ ვიყოთ
ახლოს,
მაგრამ მაგ თქვენი თვალების შუქი,
თქვენი ღიმილი მაკლია, ხალხო!
თითქოს სამივემ პირი შეჰკარით
და... თითო-თითოდ შემომეცალეთ.
მეხი დამეცა და ნამეხარი
ვეღარ დავფრინავ როგორც
მერცხალი.
როგორ მაკლიხართ, ძმებო, ვინ იცის,
ვის ესმის ჩემი გულის ქვითინი...
და თქვენი წილი მზე და თბილისი
მხრებზე მაწვება მძიმე ტვირთივით.

### დიდ სიყვარულთან ვარ წილნაყარი

შემომაგებე ღია ფანჯარა,
შემოვიჭრები სიო ახალი.
მცირე სიყვარულს ნუ დამაჯერებ,
დიდ სიყვარულთან ვარ წილნაყარი
შენ ამაშორე პატარა განცდა,
პატარა ღელვა, პატარა ცეცხლი,
პატარა დარდი, პატარა კაცის,
ღმერთს რომ გაყიდის ოცდაათ
ვერცხლად.
ნუ გამაგონებ ჭორსა და
წვრილმანს,
დავუხშე გულის სუყველა კარი
და მე არ მიყვარს პატარა წვიმაც,
პატარა თოვლიც, პატარა ქარიც.
შენი შვილი ვარ, ვრცელო სამყაროვ,
არ მომისაჯო მცირე კარავი.
დიდ სიყვარულთან ვარ წილნაყარი
და მეშინია სიპატარავის.

# ფოთის კოშკის სტუმრები

სადაც არ უნდა ყოფილიყო ნიკო ნიკოლაძე, მას მუდამ გარს ეხვია დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, მისი ხშირი სტუმრები იყვნენ მუშები და გლეხები. სოფლის გლეხობასთან და სხვა მშრომელ ხალხთან ნიკოს ურთიერთობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, მას შემდეგ, რაც იგი 1886 წლიდან მუდმივ საცხოვრებლად ჯიხაიშში დასახლდა და 25 ჰექტარ მიწაზე გამართა დიდი მეურნეობა, ააშენა საცხოვრებელი სახლები, სადაც დღეს მისი სახელობის მუზეუმი და საცდელ-სამეურნეო ტექნიკუმია.

1894 წელს ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს. იმ დღიდან ნიკო ნიკოლაძეს ხელმძღვანელობით იწყება ფოთის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა. ნიკოს არჩევას ფოთის ქალაქის თავად და ფოთის პორტის აშენების დაწყებას ბევრი მისი მეგობარი უარყოფითად შეხვდა. ეუბნებოდნენ, შენი კალამი ფოთის ბაყაყებზე როგორ გაცვალეო.

ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე იგონებს: „საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენი ამაგი დასდო მამაჩემმა ფოთის პორტის დაარსებას; ერთხელ მორიგი შეხვედრის დროს, გიორგი წერეთელმა მამაჩემს უთხრა:

— თვით ჰამბურგი რომ გადმოიტანო მაგ შენს ფოთში, მე მაინც ჩვენი ბაგრატის მთის ნანგრევების ფერფლს წინ დავაყენებ ჩვენი ერისათვის, იმდენად ძლიერი ამამოძრავებელი ძალაა ხალხისათვის მისი წარსული დიდების შეგრძნება და მაგალითი!

— მშიერ-მწყურვალი ხალხისათვისაც? — მიიღო პასუხი.

— მშიერისათვის კიდევ უფრო! — ერთხმად წარმოიძახეს გიორგიმ და აკაკიმ.

— მშიერსა და ჩაგრულს თამარისა და შოთას ეს პორტრეტები, — მიუთითა აკაკიმ დიდი ოთახის კედელზე, — უკეთ გაუძლვებიან გამარჯვებისაკენ, ვიდრე შენი ფოთის ხუთი პორტი და ათასი ელევატორი!

— არა, მეგობრებო, ეგ წარსული და მომავალი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ერწყმიან და უერთდებიან ერთიმეორეს! — უპასუხა ნ. ნიკოლაძემ“.

ფოთის ციხე-კოშკი, რომელიც ზღვის სანაპიროსთან ახლოს იდგა, ულამაზესი ადგილი იყო. ძველად ამ კოშკში იჯდა ოსმალეთის ჯარების სარდალი ქუჩუქ-ბეი, კოლხიდელების დაუნდობელი მტერი. გარდა იმისა რომ იგი ოსმალეთის ჯარების სარდალი იყო, ამასთანავე ვაჭრობდა მეგრელი გოგონებითა და ბიჭებით, ვიდრე რუსეთის მხედრობამ 1878 წელს არ დაამარცხა და არ განდევნა ფოთიდან.

როდესაც ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს, მან კოშკი მთლიანად საცხოვრებლად გადააკეთა და თავისი ოჯახის წევრები ჩაასახლა, რამდენიმე ოთახში კი თავისი დიდი ბიბლიოთეკა მოათავსა.

ფოთში ნიკოს სანახავად ჩამოდიოდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები.

გარდა ქართველი მწერლებისა, ფოთში ნიკოს სანახავად ჩამოდიოდნენ რუსი და ევროპელი საზოგადო მოღვაწეები. მათ აინტერესებდათ, თუ რას აკეთებდა ჭაობიან ფოთში დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც 1875 წელს ფრანგი სოციალისტი ლუი ბლანი სწერდა: „მოწყალეო ხელმწიფევ! მე უდიდესი ინტერესით წავიკითხე თქვენი წიგნი. მე არ ვიცი, ჩასთვლის თუ არა ფრანგული პრესა ოდნავ მკაცრად თქვენს აზრებს..., მაგრამ ერთი რამ უეჭველია: თქვენი წიგნი ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელიც ყველა ფრანგმა ჟურნალისტმა უნდა წაიკითხოს და კარგად ჩაუფიქრდეს თქვენს მიერ გამოთქმულ აზრებს.

გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მიიღოთ ჩემი მადლობა და მასთან ერთად მილოცვაც“.

1896 წელს ნიკო ნიკოლაძეს კოშკში ეწვია ცნობილი რუსი პოეტი დიმიტრი მერეჟკოვსკი მეუღლით ზინაიდა გიპიუსით. ამ დროს ნიკოსთან კოშკში იმყოფებოდა მისი სიძე გიორგი წერეთელი, რომელიც თურმე, როგორც რუსუდან ნიკოლაძემ გადმოგვცა, განცვიფრებული დარჩა, როდესაც ნახა, რომ ქალს კაცის შარვალი ეცვა და თავზე მამაკაცის ქუდი ეხურა.

მერეჟკოვსკი ნიკოსთან ორი დღე დარჩა და ნიკოს სთხოვა, თავი დაენებებინა ფოთის მშენებლობისათვის.

ნიკო თავისას მაინც არ იშლიდა — აქტიურად და ენერგიულად განაგრძობდა ფოთის პორტის მშენებლობას. იგი ამბობდა, ისეთი პორტი უნდა ავაშენო, მსოფლიოში პირველი იყოსო.

1897 წელს ნიკოს ფოთის კოშკში ეწვია პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის რექტორი, აკადემიკოსი ბერენშტამი; მან ნიკოს სახსოვრად ჩამოუტანა ხეზე ამომწვარი პეტრე პირველის სურათი, რომელიც ამჟამად ნიკოს ქალიშვილის რუსუდან ნიკოლაძის ბინაში ინახება.

— ეს საჩუქარი სიმბოლურია, — ამბობდა თურმე ნიკო, — პეტრე დიდმა ჭაობი ამოაშრო და დიდი ქალაქი ააშენა, მე კი მინდა ფოთის პორტი ავაშენო და პატარა ქალაქს ძირფესვიანად შევუცვალო სახე!

ალექსანდრე სიგუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხელ-ცხელი ამბები

## ბუნებრივი ლაბორატორია

ტაჯიკმა ბიოლოგებმა პამირის მთიანეთში აღმოაჩინეს ველური ხორბლის უცნობი სამი ფორმა.

პამირი მცენარეთა დაცვის ერთგვარი ბუნებრივი ლაბორატორიაა. ჩვენი ქვეყნის ამ ყველაზე მაღალ მხარეში 6.000-მდე მცენარის სახეობაა დაცული.

## არილმის საბადო

ამას წინათ ირკუტსკის ოლქში აღმოაჩინეს ქვამარილის უდიდესი საბადო. ამ საბადოს მარაგი რამდენიმე მილიარდი ტონით განისაზღვრება.

სოფელ ტირეტის მახლობლად უკვე დაიწყო სუფრის მარილის დამამზადებელი საწარმოს შენება; ეს საწარმო ერთ-ერთი უმძლავრესი იქნება ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად დააკმაყოფილებს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მოთხოვნილებას მარილზე.

## მთები მაღლდება

სპეციალისტებმა დადგინეს, რომ კარპატის მთები ყოველწლიურად 8-4 სანტიმეტრით მაღლდება.

ის ადგილები, სადაც გაშენებულია ქალაქი ლვოვი, ყოველწლიურად 10 მილიმეტრით იწევს ზევით.

ამ მოვლენის მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებით საჭიროა მსხვილი ნაგებობების დაპროექტების დროს.

## ყინვაგამძლე ევკალიპტები

საქართველოში გამოიყვანეს ევკალიპტის 5 ახალი სახეობა, რომლებიც 15 გრადუსამდე ყინვას უძლებენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამჟამად კულტირებულია 35 სხვადასხვა სახეობის ევკალიპტი.

## გიგანტური ვეშაპი

ბარენცის ზღვის მახლობლად ამას წინათ შემთხვევით წააწყდნენ უძველესი ცხოველის გაყინული ჩონჩხის ნაწილს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნის გიგანტურ ვეშაპს.

ამ ვეშაპის წონა, სულ ცოტა, 160-200 ტონას მაინც შეადგენდა.

## ახალი ექსპონატები

რუსეთში ახანთის პირველი ფაბრიკა პეტერბურგში დაარსდა 1837 წელს. ახლა ჩვენს ქვეყანაში 20-მდე ახანთის მძლავრი ფაბრიკაა.

კალუგაში არსებობს ახანთის ისტორიის ამსახველი ერთადერთი მუზეუმი, რომელიც ამას წინათ შეივსო სამამულო და საზღვარგარეთის ფაბრიკების ახალი ექსპონატებით.

## ასეული ტონა ტვირთი

ვოროშილოვგრადში ამას წინათ დაამზადეს რკინიგზის გიგანტური ტრანსპორტიორი, რომლის სიგრძე 70 მეტრზე მეტია.

ეს ტრანსპორტიორი უმაღლესი წონისა და გაბარიტის მქონე სხვადასხვა ტვირთის გადასატანადაა გამიზნული.

მას შეუძლია თავისუფლად გადაიტანოს ასეული ტონა ტვირთი.

## ახალი ნივთიერება

მოსკოვის კლინიკებში წარმატებით ჩაიარა გამოცდა სპეციალისტების მიერ დამზადებულმა ახალმა ნივთიე-რებამ, რომელსაც, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ეფექტურად შეუძლია შეცვალოს ტრადიციული თაბაშირი.

ამ სიახლეს მალე გამოიყენებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში.





საქართველოს დამსახურებული არტისტი თენგიზ არჩვაძე არსაკიძის როლში.

# ხალასი ნიჭი

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში ხორცშესხმული გმირის, კონსტანტინე არსაკიძის ეკრანზე გაცოცხლება, ცხადია, რჩეული მსახიობის წილხვედრი უნდა ყოფილიყო.

ხვეტიცხოვლის აღმაშენებლის უკვდავი სახე და ხასიათი იმგვარად უნდა გახსნილიყო, რომ მალამოსავით მისალბუნებოდა მილიონობით ადამიანთა გულებს.

რეჟისორმაც და მაყურებელმაც იწამა ტაძრის ამგების ეკრანზე გამცოცხლებლად — საქართველოს დამსახურებული არტისტი თენგიზ არჩვაძე.

ამ მსახიობს ხეკორძულას წყალი უსვამს და ცხენდაცხენ გადაუვლია თრიალეთის მთები, ძეგვი, დიდგორი, კლდეკარი, პიტარეთი, ბირთვისი. კუთხე-კუთხე დაუვლია ზედაზენი, ჭვარი, უფლისციხე, ქსანი, ალავერდი, ვარძია, გელათი; ნიკორწმინდა კედელ-კედელ დაუკოცნია. არაგვი გადაუცურავს, ხევსურეთს კაფია უთქვამს, რაჭას — „ქვედრულა“ და „ქალაკოდა“, იმერეთს მაყრად ყოფილა, კახეთს თამადად, სვანეთს—მარედ. არა როგორც მოგზაურს — სამშობლო უყვარს და მტკაველ-მტკაველ მისი მონახულება, ქართული სიტყვიერების საუნჯის მარგალიტები კაკალ-კაკალ აუბოჭნია არა როგორც ფოლკლორისტს, სიტყვის გამომთქმელი კაცია და შაირის დამშვენება იცის... პირადი წარმატების პატივმოყვრული სურვილი არასოდეს გაჩენია, როლების გმირების დიდი ნუსხა აქვს, მაგრამ არც სცენაზე, არც ეკრანზე სოლისტის ეფექტური მდგომარეობით არ თავმომწონეობს, არც პირადი წარმატების პატივმოყვრული სურვილი გაჩენია.

ეგვიპტელები მხატვარს ხეენებს — განმაცოცხლებელს უწოდებდნენ. ამ სახელწოდებაში ხელოვანის არსის ღრმა გაგება და სიმართლეა.

თენგიზ არჩვაძეს ეგვიპტელები არსაკიძის ხეენებს დაუძახებდნენ, ალბათ. იგი მშვენიერების მსახურია. იქნებ, ბევრმა არც კი იცის რარიგ ოსტატურად ხატავს; ალალი იყოს მისთვის არსაკიძის როლი! გრიმით კი არ გაუმარჯვნია — სახის დინამიკური ნახატით. მისი აქტიორული ღირსება სიმართლეა და ძალზე გავს ცხოვრებისეულს. თენგიზ არჩვაძე მხატვრული სახის სიცოცხლის განმხანგრძლივებელი აქტიორია. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჭაბუკი შემოქმედებითად მივიდა იმ მდიდარ ტრადიციებთან, რასაც ქართული თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის მაგისტრალური ხაზი შეიძლება ეწოდოს, იმთავითვე აქცია გამომსახველობით ხერხად სისადავე, დიდი უშუალობა და სიმართლე, სათქმელის ზედმეტი სამკაულის გარეშე გამოხატვა და შინაგანი დრამატიზმი. თეატრშიც და ეკრანზეც თენგიზ არჩვაძის გმირები კეთილშობილი რაინდები და გულწრფელი პატრიოტები არიან, ბრწყინავენ ბალღური მიამიტობის შუქით, რადგან ცხოვრებაში ადამიანების, მეგობრების, ამხანაგების, ნაცნობ-ახლობლის ბედზე ღრმად დაფიქრებული კაცია, გულცივად ვერავის და არაფერს ეკიდება.

...ფრანც-იოსების ყინულოვანი მიწა, მკაცრი მდუმარება დაარღვია გიორგი კალატოზიშვილის ფილმის „წითელი კარავის“ გადამღებმა ჯგუფმა. ფილმში მიწვეულ მსოფლიოს და საბჭოთა კინოვარსკვლავთა შორის მხიური საქართველოს ორი წარმომადგენელი—ოთარ კობერიძე და თენგიზ არჩვაძე მოსიყვარულე გულებითა და ხალასი იუმორით ათბობდნენ ახლად შეძენილ კოლეგებსაც და ყინულის ველსაც. მერე რა, რომ თენგიზ არჩვაძეს ეპიზოდური როლი ჰქონდა, მეტად საჭირო კაცი გამოდგა, ფილმის მიხედვით თუ მობილეს ხალხს ფანქრის ნატეხი ენატრებოდა, თენგიზს არ ელეოდა ფანქარი, შესვენებებზე ხატავდა და ხატავდა აისბერგებს, ყინულოვანი ოკეანის სიქათქათეს და ისე ოსტატურად, მობილემაც და რეჟისორმაც დიდი პატივით უწოდეს „წითელი კარავის“ როკუელ კენტი.

მშვიდი, წყნარი, უთქმელი, დინჯი და ემოციური, შინაგანი ტემპერამენტით აღსავსე, თავდაჭერილი და დიდბუნებოვანი — ამ ადამიანური ღირსებებით ამკობს იგი მის სცენურ თუ კინოგმირებს. შვენის ჩაღიმება, პირქუშობაც ზომიერი იცის. გარდასახვას ერთიანი მეტყველი სახით, მრავლისმთქმელი თვალებით, განწყობილებით და პოზის გარეშე აღწევს. ყველა ნიუანსი გულდასმით აქვს მოფიქრებული და შინაგანი აზრით დატვირთული. ამიტომაც რეალურია მის მიერ შექმნილი ხასიათი არსაკიძისაც და მეფე ალექსანდრესი (ლ. გოთუას „გმირთა ვარამში“). ქართული ისტორიისა და ლიტერატურის ზედმიწევნით მცოდნე, განათლებული, ინტელექტუალური და ყოველ სახეში ფსიქოლოგიურ სიმართლეს აგნებს. ასეთია თენგიზისა (ფილმი „კეთილი ადამიანები“) და ვახტანგის (ფილმი „შეხვედრა მთაში“) როლებში. არა ერთ პიესაში მოუხდა ქალაქკომისა თუ რაიკომის მდივნის სახის შექმნა („დღის წესრიგშია ერთი საკითხი“, „როცა ქალაქს სძინავს“...) და ყველგან იშვიათი ტაქტით, განსახიერების ოსტატობის მომთხოვნი დეტალით, მაყურებელთან ემოციური კონტაქტით, განცდის რეალური საფუძვლით, რომანტიკით მოხიბლა მაყურებელი.

# ნიჭი

რაინდია მისი იმედა (ფილმი „ხევსურული ბალადა“), ოთარ ნიჟარაძე (გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“), მუნჯი (შოუს „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“). ამ უენო, უთქმელ როლში თენგიზ არჩვაძემ გარდასახვის სრულყოფას მიაღწია და აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი. აქტიორული გარდასახვით გაიბრწყინა მან რასპუტინის რთულ, მრავალპლანიან სცენურ სახეში („კვაჭი კვაჭანტირაძე“), შვიდსერიან ფილმში „დათა თუთაშხია“ — მუშნი ზარანდიას როლში, ტელეფილმ „ძველმოდურ კომედიაში“ მთავარი ექიმის როლის შესრულებით.

ბევრი ლამაზი წუთი მიუნიჭებია თენგიზ არჩვაძეს მაყურებლისათვის, ბევრი ლამაზი წუთი თავადაც განუცდია. 35 კინოფილმის, ათობით სპექტაკლის მონაწილეს რა გამოულევს ლამაზ წუთს, მაგრამ სიამაყით ავსებს მის აღმზრდელთან, დიდოსტატ აკაკი ხორავასთან სუმბათაშვილის „ღალატში“ მონაწილეობა.

პოეტური კაცია, ხალხური სიტყვიერების სალაროდან საგანძური არ ელევა. მეგობრებში მთიულეთს გაგონილი და მის მიერ ჩაწერილი ერთი ლექსის თქმა უყვარს: „სულეთს წავიდა წიქაი, ხელით შაალა კარია, სწორები შახვდნენ ერთურთსა, დასხდა ქორების ჯარია, სამგლოვიაროდ იმღერეს, მწყობრად ჩამაბჭკრეს ზარია, ჩუამ სიმღერა იძახა, ჩაღხიამ მისცა ბანია, ვაჟებმა, შატალოვნებმა სულეთს მასინჯეს ძალია, სულ გაანგრიეს კედელი, სამზეოს გასავალია, იმათ შამასწყრა უფალი, აქედნ არ ზდიას სხვანია“.

სამზეოს გასულია თენგიზ არჩვაძის ნათელი შემოქმედება, ხალხის მიერ აღიარებული და პატივდებული.

კირა კვეიძე.



თენგიზ არჩვაძე სპექტაკლში „ხიდი“.



# ჭრელი ქარი

## მკერავი ჩიტი

ასეთი ჩიტები ინდოეთში, ბირმასა და ზოგიერთ სხვა სამხრეთის ქვეყნებში ცხოვრობენ.

საინტერესოა, რას კერავს პატარა ჩიტი, სად შოულობს იგი ნემსსა და ძაფს? როცა გამრავლების დრო დადგება, მკერავი ჩიტი სწორედ მაშინ გამოიჩენს ხოლმე თავის ნიჭსა და უნარს. ჩიტუნა არა მარტო მკერავია, არამედ მრთველიც. მატყლისა და ხის ბოჭკოსაგან იგი ოსტატურად ართავს ძაფს, მერე ხეზე ამოირჩევს მოსახერხებელ ადგილს და ორ თანასწორი სიდიდის ფოთოლს ერთმანეთზე მიატყუპებს. წვრილი ნისკარტი ჩიტს ნემსის მოვალეობას უწევს. გააკეთებს რა ნისკარტით ნახვრეტს, მკერავი ჩიტი მაშინვე გაატარებს ხოლმე ნახვრეტში წინასწარ დაგრეხილ ძაფს, შემდეგ გახვრეტს მეორე ფოთოლს და იმაშიც ძაფს უყრის. მოხერხებული ჩიტი ზოგჯერ ათამდე ასეთ გვირისტს აკეთებს და მჭიდროდ, საიმედოდ აკერებს ორ ფოთოლს ერთმანეთზე. ამ მწვანე ბუდის მოწყობის შემდეგ მკერავი ჩიტუნა ფოთლებში აფენს ბამბას, ბუმბულს, მატყლს, ბეწვს და მომავალი თაობისათვის საიმედოდ ამზადებს ბუდეს.

მკერავი ჩიტი იკვებება უმთავრესად ჭიანჭველებით, მაგრამ არც სხვა მწერებზე ამბობს უარს. იგი დასახლებული ადგილების ახლოს ბინადრობს, ბაღებში, პლანტაციებში, ზოგჯერ კი საცხოვრებელი სახლის აივნებზე, ოთახის მცენარეთა ტოტებშიც იკეთებს ბუდეს.

## ეს საინტერესოა

ერთ წყვილ ბეღურას ათ წელიწადში შეუძლია მოგვცეს 250 მილიონი ნამრავლი.

ერთი წყვილი თაგვი სამი წლის განმავლობაში 20 მილიონ შთამომავლობას იძლევა. ამ რაოდენობას შეუძლია ერთ დღეში შეჭამოს 100 ტონა საკვები.

ადამიანი ერთი წლის განმავლობაში თავის წონასთან შედარებით 10-ჯერ მეტ საკვებს ჭამს, ხოლო ზღვის ფრინველი კი დღე-ღამის განმავლობაში თავის წონასთან შედარებით — 6-ჯერ მეტს.

შორს ფრენაში დიდ გამძლეობას იჩენს ღალღა. იგი დაუსვენებლივ გადაიფრენს 3000 კილომეტრს. შორს ფრენაში რეკორდსმენია ტივტივა, მისი გადაფრენის მანძილი ხშირად 15.000 კილომეტრია.

სირბილში მსოფლიო რეკორდსმენია ავაზა, იგი საათში 135 კილომეტრს გარბის. ეს ტანადი მხეცი სულ რაღაც 45 კილოგრამს იწონის.

გიორგი დათუაშვილი.

## სიახლენი სიახლენი

ლენინგრადის საფეიქრო წარმოების სპეციალისტებმა ამას წინათ დაამზადეს საგანგებო შემადგენლობის სითხე, რომელსაც უკვე ფართოდ იყენებენ ფაბრიკებში.

ეს სიახლე ჩვეულებრივ ძაფს მეტ სიმაგრესა და გამძლეობას აძლევს.

☆

ოკეანოგრაფიისა და თევზის საზღვაო რეწვის სპეციალისტებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც საჭირო რაოდენობით გამოსცემს გამძვინვარებული კაშალოტის ხმას.

ამ ხელოვნური ხმის გამოყენებათ შესაძლებელი ხდება თევზის ქარავნების დაფრთხობა და იმ მიმართულებით წარმართვა, რომელიც მეთევზეებს აწყობთ.

☆

ჩვენს ქვეყანაში დაამზადეს ე. წ. „მცურავი კედლები“, რომლებსაც ზღვის ტალღებისაგან ხმელეთის სანაპირო ზოლის დასაცავად იყენებენ.

დამანგრეველი ტალღების შესაკავებლად ახლა საჭირო აღარ არის უზარმაზარი ქვებისა და ბეტონის ვეებერთელა ფილების ერთმანეთზე დაწყობა და დამაგრება.

მათ საქმეს ზღვაში „მცურავი კედლები“ ასრულებენ.

☆

ოდესის საზღვაო საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში ამას წინათ დაამუშავეს ახალი ხომალდის პროექტი.

ამ ხომალდის ძირითადი დანიშნულებაა პორტებისა და ზღვის სანაპიროს გასუფთავება ნავთობპროდუქტების ნარჩენებისაგან.



# ქეთო მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭებს სოფლის სადალაქო ჰქონდათ ამორჩეული. სულ ერთთავად იქ იყვნენ. ხმელ-ხმელი დიქა დალაქი დგომას რად დაუშლიდა, როცა სოფლის ამბებს იმ ბიჭების მასლაათიდან იგებდა.

ახლაც მუშტარი უზის დალაქს და თან ცალი ყური ბიჭებისაკენ აქვს მიპყრობილი.

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ, აქ ნუ შექუჩდებით-მეთქი!—მკვახე ხმით თქვა სადალაქოსკენ მომავალმა ვიღაც მაღალ-მაღალმა კაცმა და შესასვლელთან გაჩერდა.

— ჯერ ქვეყნის საქმე აქვთ გადასაწყვეტი! — ხუმრობით უთხრა ახლად მოსულს დალაქმა.

ბიჭებმა ხითხითი დაიწყეს, თან ერთმანეთს თვალს უკრავდნენ. კაცმა უხერხულად იგძნო თავი, ხელი ჩაიქნია და სადალაქოს გაეცალა.

— ეგეც მაგას, რა ძალა ედგა! — ღიმილით ჩაილაპარაკა დალაქმა, ბიჭები კი ისევ განაგრძობდნენ ყბედობას.

— ეგ კი არა, იმ დღეს... — დაიწყო ქერათმიანმა ბიჭმა და უცებ გაჩუმდა, თითქოს პირზე სიტყვა შეახმაო.

— ჰა, რა ენა ჩაგივარდა, თქვი! — დაუტიეს ბიჭებმა. ქერათმიანმა, როგორც იქნა ამოღერღა:

— ქეთო მასწავლებელი!..

ბიჭები შეცბენ, ჯერ არ დაიჯერეს, მერე მალულად გზისკენ გაიხედეს და, გიყვარდეს, ვინ საით და ვინ საით გაიქცა, დალაქმა თვალი ვერ შეასწრო.

ის-ის იყო ქერათმიანი მაღაზიის კედელს უნდა ამოფარებოდა, რომ ქეთო მასწავლებლის ხმა მოესმა.

— ვახტანგ!

ვახტანგი შედგა, წინ ფეხის გადადგმა ველარ გაბედა, მორიდებით მოტრიალდა და თავჩაღუნული უკან წამოვიდა. ქეთო მასწავლებელი დინჯი ნაბიჯებით მოდიოდა. ბიჭი მოწიწებით მიესალმა და მის წინ გაჩერდა. ქეთო მასწავლებელმა ახედ-დახედა თავის ნამოწაფარს.

— რა ჰქენი? — ჰკითხა დინჯად. ვახტანგი წამოწითლდა, ეტყობოდა თქმა უმძიმდა, ბოლოს როგორც იქნა წაიბუტბუტა:

— ხვალისთვის დამიბარა!

ქეთევანი შეცბა, არ ესიამოვნა, ვახტანგს შეხედა.

— კარგი, ხვალ მე თვითონ მივალ, ვეცდები მოგიგვარო საქმე.. — ქეთო მასწავლებელს აღარაფერი უთქვამს, გზა განაგრძო.

ზარი დარეკილი არ იყო, როცა ქეთევან მემარნიშვილი სკოლაში მივიდა. ჯერ სამასწავლებლოში ფეხი არ ჰქონდა შედგმული, რომ ბაფთიანი გოგონა მიუახლოვდა, ზრდილობიანად მიესალმა და მერე მორიდებით ჰკითხა:

— ქეთო მასწავლებელო, ექსკურსია-გაკვეთილს კიდევ როდის მოაწყობთ?

ქეთევანი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, გოგონას შეხედა. თვალწინ დაუდგა მარაბდა, ღია

# ჩაიკოვსკი თბილისში

„ივერიის“ რედაქციის წინ ეტლი გაჩერდა. შვეიცარი სწრაფად ეახლა დარბაისელ, ჭაღარა კაცს. მან ქუჩა აათვალიერა, ცილინდრი მოიხადა და დინჯად შევიდა რედაქციაში. საბანკო საქმეებით გადატვირთვის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე თითქმის ყოველდღე მოდიოდა რედაქციაში, დღეს განსაკუთრებით მოუჩქაროდა, რადგან გაზეთის ახალი ნომრის მაკეტის გადასინჯვა სწადდა. სავარძელში ჩაჯდა თუ არა, მდივანმა, ჩვეულებისამებრ, კარი შეაღო და მოახსენა დღის განმავლობაში მომხდარი ამბები.

— ხარლამპი სავანელსა და ივანე ანდრონიკაშვილს თქვენი ნახვა სურთ და ოთხი საათისათვის გეახლებიან!

მათი სტუმრობა არ გაკვირვებია ილიას. ორივეს კარგად იცნობდა, როგორც ქართული მუსიკის დიდი მოამაგეებს.

ილიამ სარკმელი გამოაღო, საწერ მაგიდას მიუჯდა და „ივერიის“ ახალი ნომრის ანაბეჭდები ჩაათვალიერა.

ოთხი საათისათვის სტუმრები მობრძანდნენ. ილიამ სავარძლებისკენ მიუთითა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ხარლამპიმ წამოიწყო:

— თავი რომ არ შეგაწყინოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ფრიად სერიოზულ საქმეზე გეახლეთ. საქმე იმაშია, რომ მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის მოადგილის, ანატოლი ჩაიკოვსკის მიწერ-მოწერამ ძმასთან, უფალ პეტრე ჩაიკოვსკისთან შედეგი გამოიღო. მას თბილისში ჩამოსვლა გადაუწყვეტია.

— საქართველოში მისი სტუმრობა მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ჩვენს ოპერაში წარმატებით დაიდგა პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა“! — დასძინა ილიამ.

— დიდი სჯა-ბაასი გვქონდა იმის თაობაზე, როგორ შევხვდეთ, გავმართოთ საგანგებო სახალხო ზეიმი თუ კერძო პირების მიერ მოწყობილ მიღებებს დავჯერდეთ; მუსიკალურ საზოგადოებაში უკვე სამახსოვროებსაც არჩევენ, — ხალისიანად განაგრძო ანდრონიკაშვილმა, — ორბელიანს დაუყინია — ვერცხლის ხმალი მივართვათო, ქორელი ამბობს, სამლიტრიანი ყანწები დავუკვეთოთო!

ილიას სიცილმა უნებურად შეაკრთო ყველა.

— უფალო ჩემო, ჩაიკოვსკი არც სუვოროვია ხმალი რომ შემოირტყას და არც ალექსანდრე დიუმა — სმაში მჯობი რომ ვერ მოუძებნეს საქართველოში. მას ასეთი რამეები არ უყვარს!

ხარლამპიმ და ივანემ ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე გაკვირვებულებმა ერთხმად იკითხეს:

— კი, მაგრამ თქვენ საიდან იცით, რა უყვარს?! თქვენ ხომ არ იცნობთ!

— დიახ ვიცნობ! — თქვა ილიამ. წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ჩიბუხი აიღო და დინჯად დაიწყო:

— მოგეხსენებათ, პეტერბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ზაფხულობით სტუდენტებს გვიჭირდა საქართველოსაკენ გამომგზავრება და უმეტესად იქვე ვრჩებოდით. ვისვენებდით „ცარსკოე სელოში“ ან „პავლოვსკში“ ან კიდევ სხვა რომელიმე საკურორტო ქალაქსა თუ სოფელში; ეს ორი ადგილი მეტისმეტად გვიზიდავდა. 1860 წელსაც პავლოვსკი ავირჩიე, იქ სამუშაო პირობებიც უკეთესი მქონდა. ოცდასამი წლისა ვიყავი, ჩემი რამდენიმე ნაწერიც დასტამბული იყო. იმ ზაფხულზეც დიდ იმედებს ვამყარებდი, მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. იქ ერთი მშვენიერი ასული გავიცანი — ცისფერთვალება, ღია ფერის თმებით, ტანაყრილი, იგი ჩემს სულსა და გულს სიამის ნათელსა ჰფენდა. მომეწონა და შემიყვარდა კიდეც. ეს გახლდათ ალექსანდრა ილიას ასული ჩაიკოვსკაია, პეტრე ჩაიკოვსკის მომდევნო და. ისე გატაცებული ვიყავი ამ ასულით, რომ მეგობრებსაც კი ჩამოვშორდი.

ერთხელ საშენკამ მიმიპატიჟა. მითხრა, რომ მთელი ოჯახი შინ იქნებოდა. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, ჯერ ხომ არ ვიცოდი, რა განაჩენს გამოგვიტანდნენ მისი მახლობლები.

იმ საღამოს საგანგებოდ გამოვეწყე და შროშანებით სავსე კალათით ხელდამშვენებული სტუმრად წავედი.

ოჯახში გავიცანი მამა — ილია პეტრეს ძე, დარბაისელი ღენერალი, გამოჩენილი ინჟინერი და ფრიად განათლებული პიროვნება; ათი წლის ტყუპები მოდესტი და ანატოლი, ნახევარი და ზინაიდა, აგრეთვე პეტრე ჩაიკოვსკი, რომელიც იმ დროს იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა „ტიტულარული



ქეთო მასწავლებელი თავის მოსწავლეებთან.

ცის ქვეშ გაკვეთილი, ბრძოლის ის ადგილები, სადაც 1625 წელს სპარსელებთან უთანასწორო ბრძოლაში 9 ათასი ქართველი დაეცა. ქეთევანი ფიქრისაგან გამოერკვა, გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, მიეფერა და უთხრა:

— შემდეგ გაკვეთილზე წაგიყვანთ, — მერე ჩაფიქრებულმა ჩრდილებში მზის ნაფეხურებს ცქერა დაუწყო.

ძალასა და ცოდნას არ იშურებს ქეთევან მემარნიშვილი ბავშვების აღზრდის საქმეში. იგი უკვე ოცდაექვსი წელია, რაც მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელია. მანამდე კი მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იქო ქეთევანი, 1936 წელს, ქ. მოსკოვში გამართულ საკავშირო თათბირზე რომ მიიწვიეს. მაშინ ხვავიანი შემდგომა იდგა. მოსკოვის ქუჩები ხალხით სავსე, ხალისიანი და სტუმართმოყვარე იყო. მდინარე მოსკოვი, როგორც ყოველთვის, წყნარად მიდუდუნებდა. ქეთევანი ათვალიერებდა იმ ქალაქს, სადაც მუშაობა უხდებოდა პროლეტარიატის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. მოსკოვის თვითეული ადგილი, ქუჩა, თითქოს ნაცნობი ყოფილიყოს, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა ქეთევანზე, ხოლო ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიასთან შეხვედრამ და მისმა შინაარსიანმა სიტყვამ ცხემლისხიდელი გოგონა აღაფრთოვანა. დღესაც თვალწინ უდგას ის დღე სახელოვან პედაგოგთან სამახსოვრო სურათი რომ გადაიღო.

სამასწავლებლო ოთახში მზის სხივები უხვად იფრქვეოდა, ფართო ფანჯრებიდან ბაღ-ვენახები და შიგ კოხტად ჩადგმული სახლები მოჩანდა. ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელიც გრძელ მაგიდასთან იჯდა, საკლასო ჟურნალს გულდასმით ათვალიერებდა. ქეთევანმა ფრთხილად შეაღო სამასწავლებლო ოთახის კარი, იქ მყოფთ მიესალმა და მაგიდაზე წიგნები დააწყო.

— პატივცეცმულო ქეთევან, თქვენს სახელზე წერილებია, — ნაზი ხმით უთხრა ახალგაზრდა მასწავლებელმა და რამდენიმე წერილი გადასცა.

ქეთევანმა მადლობა გადაუხადა და სწრაფად კონვერტებს გახსნა დაუწყო. ბევრჯერ მიულია ქეთევანს თავისი ნამოწაფრებისაგან წერილები. ზოგი კამჩატკიდან გზავნის, ზოგი კიდევ შუა აზიიდან. ახლა ბალტიისპირეთიდან მიიღო რამდენიმე წერილი. ამაგდარ პედაგოგს დიდ მადლობას უხდიან მისი აღზრდილები. სალამო ჟამს ქეთევანი მრე კიდევ ერთხელ გულდასმით გადაიკითხავს წერილებს და საგანგებოდ გამოყოფილ ყუთში შეინახავს. ეს მისი სიხარულია, ეს მისი წარსულის ღირსებაა.

თბილი სალამო იდგა, როცა ქეთევანი სკოლიდან გამოვიდა. აყვავებული ხეხილების სურნელება სოფელს უფრო საამოს ხდიდა. სამუშაოდან მოსული სოფლელები ეზო ბაღჩა-ბაღებში ფუსფუსებდნენ, ზოგი ღობეს ამაგრებდა, ზოგი თოხს ტარს.

— მუშა ხალხია თამარისში, — ფიქრობდა ქეთევანი. როცა სადალაქოს მიუახლოვდა, გულმა ვერ მოუთმინა და მიიხედა. სადალაქოში დალაქი მარტო იყო და გაზეთს კითხულობდა. ქეთევანს გულში გაეცინა.

მზე მწვერვალს ამოფარებოდა, როცა ქეთევანმა ეზოს ჭიშკარი ფრთხილად შეაღო. სახლის კუთხეში მწოლიარე ფინიამ პატრონის დანახვაზე კუდის ქიცინი და ყეფა ატეხა.

— კარგი, გაჩუმდი! — გაუწყრა ქეთევანი და ბეტონისგან ლამაზად გაკეთებულ ბილიკს გაჰყვა. ძაღლის ყეფაზე სახლიდან შვილიშვილმა სალომემ გამოიხედა, დიდედა რომ დაინახა, გაქანდა; ქეთევანმა შვილიშვილი ხელში აიყვანა, მიეფერა და მერე ტიტინით ორივენი ოთახში შევიდნენ.

მინდვრად მანქანებისა და ტრაქტორების გუგუნი მიწყნარდა, ქუჩაში ლამპიონები აინთო, სოფელში სიჩუმე ნელ-ნელა ჩამოვარდა, თამარისი თავის მცხოვრებლებთან ერთად ისვენებდა.

უშანგი ბედია.

სოვეტნიკის“ ჩინით. მათი დედა ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ ნამდვილ დედობას უწევდა გამზრდელი ფრანგი ქალი. როგორც კი საშენკას კალათი მივართვი, პირგაბადრულმა ჩამომართვა და ჩამჩურჩულა:

— ყველაზე დიდ სიმპატიას პეტიას თვალში დაიმსახურებთ!

— რატომ? — შევეკითხე.

— პეტიას ძალიან უყვარს ყვავილები, განსაკუთრებით შროშანი.

მართლაც, ყველაზე მეტ ყურადღებას ჩემდამი პეტია იჩენდა. ვახშმამდე ბაღში გავისეირნეთ. საშენკა და პეტია გვერდიდან არ მშორდებოდნენ.

— საშენკასგან გავიგე, პოეტი ყოფილხართ! — მითხრა პეტრემ.

— გახლავართ!

— რა ბედნიერი ბრძანდებით, თქვენს ნიჭსა და უნარს პოეზიას რომ ახმართ. მე კი მუსიკა მიყვარს. ამ სიყვარულს სასოწარკვეთამდე მივყავარ. არ ვიცი, რა ვიღონო, მე ხომ იუსტიციის სამინისტროს ჩინოვნიკი გახლავართ! საშენკა მეუბნება, რომ თქვენი ლექსები მუსიკასავით ჟღერს, იქნებ, წაგვიკითხოთ რამე!

— თქვენ ხომ შინაარს ვერ გაიგებთ.

— არა უშავს, მელოდიას ხომ მაინც მოვისმენ.

— თავადო, ის ლექსი წაიკითხეთ, მე რომ მიძღვენით! — მთხოვა საშენკამ.

მეც წავიკითხე:

„სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი
გამიტაცებს მსუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევივარ
სავსე ეშხის სიამითა.
„დასტკბი გიჟო! — მეუბნები, —
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩავაკონოთ
და ჩავართოთ სულთან სული!“
„თუმც ეს ტურფავ, სიზმარია,
მითაც სტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!“...

— მშვენიერი მელოდიაა! — დაასკვნა პეტრემ.

შემდეგ ხშირად ვხვდებოდი საშენკას, პეტიას და მათ ახლობლებს, მაგრამ ჩვენი რომანი, როგორც გული მიგრძნობდა, უიღბლოდ დამთავრდა...

ხარლამპი და ივანე გაოცებულნი უსმენდნენ დიდი ადამიანის გულითად აღსარებას.

— მას შემდეგ ოცდახუთი წელი გავიდა, — განაგრძო ილიამ, — მაგრამ ახლაც თვალწინ დამიდგება ხოლმე ჩემი ჭაბუკობის დროინდელი გატაცება. დროდადრო მესმის პეტიას მუსიკალური ნიჭის გაფურჩქვნის ამბავი, მაგონდება, თუ რა გაბრწყინებული ეალერსებოდა შროშანს, როგორ ყნოსავდა და ითვრებოდა მისი სურნელით.

— იქნებ, შროშანები მივართვათ! — წამოიძახა ივანემ.

— თუ მიმიხვდით, ძალიან კარგი, — დაასკვნა ილიამ, — რად უნდა ყანწები და ხმალი პოეტური სულის ადამიანს. თუ მისი გახარება გინდათ, შროშანები ფიანდაზად დავუფინოთ!

☆

1886 წლის პირველ აპრილს პეტრე ჩაიკოვსკი საქართველოს ეწვია. თბილისმა დიდებულად მიიღო სანუკვარი სტუმარი.

კონცერტები, სალამოები, ვახშმები — ათას ერთი ღამის ზღაპრებს ჰგავდნენ; ცხრამეტ აპრილს კი საქართველოს საზოგადოებამ ოფიციალური, დიდი სალამო გაუმართა კომპოზიტორს.

ოპერის თეატრი სავსე იყო ხალხით. კომპოზიტორის ლოჟა მორთული იყო ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თეთრი ყვავილებით. იარუსები, ლოჟები, ჭაღები, ყველაფერი შროშანით იყო დათოვლილი.

პეტრემ ანატოლის ჩასჩურჩულა:

— ეს ყვავილები შენი ოინია, ამ ხალხს შენ გაანდე ჩემი სისუსტე!

ანატოლი თვითონაც გაოცებული იყო ამ ამბით.

იდგა ლოჟაში გაოცებული ხელოვანი. თვალზე ცრემლმომგდარი იღებდა მილოცვებს, ადრესებს, ლირას, ვერცხლის გვირგვინს, უსმენდა თავის მუსიკას, მაგრამ ყველაზე მეტად შროშანი აღელვებდა.

როდესაც ვახშამზე მიიწვიეს, კომპოზიტორის წინ დიდი პატივით დააბრძანეს დარბაისელი, ჭაღაროსანი კაცი, რომელიც შესცქეროდა მას, უღიმოდა ნათელი და ნაცნობი ღიმილით. პეტრეც ღიმილითვე პასუხობდა, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა მისი ვინაობა.

იპოლიტოვ-ივანოვმა ჩასჩურჩულა:

— იგი გახლავთ პოეტი და დიდი საზოგადო მოღვაწე — თავადი ილია ჭავჭავაძე!

პეტრე შეკრთა, ნუთუ ილია ჭავჭავაძე, მისი ყოფილი სასიძო, მშვენიერი, სასიამოვნო, ახალგაზრდა სტუდენტი, ეს ჭაღარა და დარბაისელი კაცია?! ერთხანს ჩაფიქრდა და მერე ყველაფერს მიხვდა, მიხვდა, თუ ვინ დაუთოვა გზა შროშანებით.

ჯიმშერ მუჯირი



აი, როგორ დაახასიათა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა მურმან ლებანიძემ ცნობილი პედაგოგი, ლიტერატორი და მამულის სიკეთისათვის გულანთებული მებრძოლი სიმონ სხირტლაძე:

„მაღალი და წარმოსადეგი, ახოვანი და მკერდბუმბერაზი, კეთილაღნაგი და უზომოდ ქედძლიერი, ეროვნული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე და გულმხურვალე ქადაგი, ჭეშმარიტად სახალხო მოღვაწე და მამულიშვილი“...

ვინც აწ გარდაცვლილ პატივცემულ სიმონ სხირტლაძეს იცნობდა, მაშინვე დაგვეთანხმება, რომ ამ დახასიათებაში ზუსტად არის წარმოსახული მისი მდიდარი სული და ვაჟკაცობა.

სიტყვის ძალა, მისი ფრთიანობა, ტკბილმოუბრობა და ენაწყლიანობა, სიღრმე და სისადავე, სიბრძნე და ხალხურობა, გასაოცრად იყო შერწყმული და გაერთიანებული სიმონ სხირტლაძის მჭერმეტყველებაში.

მე, როგორც ბატონ სიმონ სხირტლაძის უამრავ მეგობართაგან ერთ-ერთს, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა იმ გარემოებამ, რომ ქუთაისში ამას წინათ შემთხვევით მივაკვლიე ერთ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი ბატონ სიმონ სხირტლაძისა გახლდათ და იგი ერთ-ერთ ცნობილ ქართველ ექიმ-ფსიქიატრსა და საზოგადო მოღვაწეს შეეხებოდა.

მკითხველისათვის ვფიქრობ საინტერესო იქნება ეს წერილი.

ქიშვარდ ისაკაძე.

# ხალხის უანგარო მსახური

საბჭოთა ეპოქის ქართველ ექიმთა თვალსაჩინო პლეადაში მოკრძალებით დგას ივანე სხირტლაძე, რომელმაც მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე, მრავალმხრივი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვას შეალია.

ივანე, რომელსაც საალერსოდ ვანოს ეძახდნენ. მკაფიო მაგალითი იყო იმისა, თუ ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი როგორი გატაცებით უნდა ემსახუროს თავის ხალხს.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ამ წარმოსადეგი ადამიანის ახოვანი ფიგურა, მისი გადაშლილი შუბლი და მომღიმარი ქართული სახე, ახლაც კი, როცა ვანო ცოცხალთა შორის აღარ არის, ნათლად წარმოუდგება იგი.

კიდევ უფრო მიმზიდველი იყო ეს ადამიანი მუშაობის პროცესში. ვანო მთელი გატაცებით ეძლეოდა თავის საქმეს და როგორც ფსიქიატრი — უხილავი ძაფებით შედიოდა ავადმყოფის დაბზარული სულის ლაბირინთში.

მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერების მიმნიჭებელი იყო ადამიანის გადარჩენა, სიკვდილის ნაპრალიდან მისი შემობრუნება სიცოცხლის ნათელი გზისაკენ.

ამ საინტერესო პიროვნებას საინტერესო ჰქონდა ცხოვრების წილხვედრი გზაც.

ვინც რაჭას ნაქერალის ან საირმის მიმართულებით სწვევია, მის თვალს უეჭველად მიიზიდავდა შორს, ღრუბლებში თეთრი გედივით ამოზიდული მრავალძალის ეკლესია და მის ირგვლივ მთის ულამაზეს კალთებზე შეფენილი სოფელი მთისკალთა.

აქ, ამ მივარდნილ სოფელში 1894 წელს დაიბადა ვანო სხირტლაძე.

მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, რაც რევოლუციამდე რაჭველ მშრომელებს კვლადაკვალ სდევდა, ვანოს მამას ხარება სხირტლაძესაც გუდა-ნაბადი ააკვრევინა და ცოლ-შვილით შორეული ქალაქისაკენ გაუყენა გზას. მომავალი ექიმი მაშინ სამი წლისა თუ იქნებოდა.

ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა, ბევრი ჭირის მნახველმა ხარებამ, რომელსაც კარგად ესმოდა წიგნისა და ცოდნის ძალა, დაბეჯითებით ჩაინერგა გულში, რომ თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი უსწავლელი არ დაეტოვებინა.

1915 წელს ვანო სხირტლაძე წარმატებით ამთავრებს თბილისის ქართულ გიმნაზიას და ცოდნის წყურვილით ანთებული, პეტერბურგის უნივერსიტეტში მიემგზავრება. აქ ვანო შედის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და მთელი გატაცებით ეწაფება ენების შესწავლას და ენათმეცნიერების მონაპოვარის დაუფლებას.

მესამე კურსზე ვანოს ბედის იალქნები სხვაგვარად შეტრიალდა. იგი ჯარში გაიწვიეს, სადაც რამდენიმე ხანს იხდიდა ჯარისკაცის ვალდებულებას.

ვანო სხირტლაძის მისწრაფებათა სფეროში მალე ძირეული გარდატეხა მოხდა. მისი ინტერესები მედიცინისაკენ გადაიხარა და სულ მალე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას შეუდგა.

1919 წელს არმიის რიგებიდან დაბრუნებული ვანო ახლად დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შედის.

1922 წლიდან ვანო სხირტლაძე როსტოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას.

ბუნებრივმა ნიჭმა და იშვიათმა შრომისმოყვარეობამ ბოლოს სასურველი ნაყოფი გამოიღო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ივანე სხირტლაძე დატოვეს როსტოვში ორდინატორის თანამდებობაზე, პროფესორ იუშჩენკოსთან ფსიქიატრიის კლინიკაში.

1924-26 წლებში ივანე სხირტლაძე მუშაობს ნოვოჩერკასკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს გამგე-ექიმად და მთელ თავის ახალგაზრდულ ენერგიას ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ანდომებს.

ამ ხანებში მას კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლენინგრადში გზავნიან, სადაც გამოჩენილი საბჭოთა ფსიქიატრის ბეხტერევის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო აღრმავებს და ამაღლებს თავის ცოდნას არჩეულ სპეციალობაში.

ვანო სხირტლაძე მთელი გატაცებით იწყებს მუშაობას სამედიცინო მეცნიერების ურთულეს დარგში — ფსიქიატრიაში.

1927 წელს ვანო საქართველოს ჯანსახკომის მოწვევით სამშობლოში ბრუნდება და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ინიშნება მთავარი ექიმის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია, რომ აქ მან მდიდარი გამოცდილება დააგროვა, რაც შემდეგში კიდევ უფრო შეავსო და განაზოგადა.

1929 წელს ვანო ქუთაისში გადაყავთ, სადაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მთავარი ექიმის მოვალეობის შესრულება უხდება.

1930 წელს იგი საკმაო დიდი დროით ლენინგრადში იგზავნება. ბავშვთა ფსიქონევროლოგიისა და დეფექტოლოგიის შესასწავლად.

იქ ვანოს მუშაობა უხდებოდა ისეთ თვალსაჩინო მეცნიერებთან, როგორიც იყვნენ პროფესორები ბლუმენაუ და პოვარნინი.

1933 წლიდან ვანო სხირტლაძე საბოლოოდ მკვიდრდება ქუთაისში და როგორც ექიმი-ფსიქიატრი დიდ ავტორიტეტს იხვეჭს საზოგადოების ფართო ფენებში.

აღსანიშნავია, რომ ამ საერთო წარმატებაში, საფუძვლიან სამედიცინო განათლებასთან ერთად, ვანოს ხელს უწყობს საოცრად შთამაგონებელი სახე და ლმობიერებით აღსავსე ხმა, რაც უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების სულიერ განწყობილებაზე.

დღეს ყველამ იცის, რომ ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კეთილმოწყობაში, მის მაღალსაკვლევ დონეზე აყვანაში უდიდესი წვლილი ვანო სხირტლაძეს ჰქონდა შეტანილი.

1933 წელს ვანოს ინიციატივით ქუთაისში დაარსდა სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი, რომელიც დღესაც საიმედოდ ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას.

1934 წელს მან ქუთაისშივე ჩამოაყალიბა ფსიქიატრიული კოლონია.

ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო მან ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმის დაარსებაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ვანო სხირტლაძე იყო ფართო დიაპაზონის ინტელიგენტი, ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, არაბულ ენებს; გარდა მშობლიური ლიტერატურისა, კარგად იცნობდა ევროპისა და აზიის ხალხების გამოჩენილი კლასიკოსების ნაწარმოებებს.

თავისი ნაყოფიერი მუშაობის მანძილზე ვანო სხირტლაძემ დიდი გულისხმიერებით აღზარდა მრავალი ფსიქიატრი და ფსიქონევროლოგი, რომელთა უმრავლესობა დღესაც მადლიერების გრძნობით იხსენებს ძვირფას მასწავლებელს და თავდადებული მუშაობით სამაგიეროს უხდის სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტს.

მადლიერი ერი არ ივიწყებს ვანო სხირტლაძის დიდ დამსახურებას. ქუთაისში მის სახელს ატარებს ქუჩა, სადაც ცხოვრობდა ეს სახელოვანი მამულიშვილი; მემორიალური დაფა გაუკეთდა ქუთაისის პირველ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს.

სიმონ სხირტლაძე

# ბეთჰოვენი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კურტ დავიდი**

კურტ დავიდი თანამედროვე გერმანელი მწერალია. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა მუსიკის განსაკუთრებულმა სიყვარულმა.

კურტ დავიდის შემოქმედებაში ფართოდ აისახა ორი თემა — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი გარდატეხა გერმანელ ხალხში და წარსულის ნანგრევებზე ახალი ცხოვრების შენება, ახალი ადამიანის შექმნა და ჩამოყალიბება.

1806 წლის შემოდგომა იყო. შლესიის ქალაქი ტროპაუ სალამოს ბინდს მოეცვა. ეტლით მიმავალმა ბეთჰოვენმა პატარა სახლებს შეავლო თვალი და გზაჯვარედინთან მეეტლეს ახძახა:

— მარჯვნივ არა! მარცხნივ გაუხვიე!

— მესმის! — გამოეპასუხა მეეტლე და ცხენები ნაბრძანები მიმართულებით წაიყვანა.

ქალაქი მალე უკან მოიტოვეს და შარაგზაზე გავიდნენ. ჩაუქროლეს ბებერი ტირიფებით დამშვენებულ ორ პატარა ტბას, რომლის კრიალა ზედაპირზე არეკლილიყო ჩამავალი მზის წითელ სხივებში გახვეული ცის პატარა ნაგლეჯი და დაბურულ ტყეს მისცეს თავი. პირქუშად შემოეგებნენ მუხისა და წიფლის ხეები.

— უკვე მოვედით! — თქვა ბეთჰოვენმა, შეისწორა ქათქათა თეთრი აბრეშუმის ყელსახვევი, მოსასხამი შეიკრა და ქუდი დაიხურა.

მუხისა და წიფლის ტყის მიღმა გრეცის სასახლე გამოჩნდა. იგი ეკუთვნოდა ვენის თავადს ლიხნოვსკის.

მხოლოდ ვახშმობის შემდეგ შევიდა თავადი ლიხნოვსკი ბეთჰოვენის ოთახში.

— მოხარული ვარ, ჩემი მოწვევა რომ მიიღეთ! — თქვა ლიხნოვსკიმ. იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, რადგან კომპოზიტორს ამ დროისათვის ძალზედ დაქვეითებული ჰქონდა სმენა.

— ოო, მე დიდი სიამოვნებით შევასრულე თქვენი თხოვნა, — ღიმილით მიუგო ბეთჰოვენმა. ეს, მართლაც, გულწრფელად იყო ნათქვამი. თავადი მას ყოველწლიურად 600 გულდენს უხდიდა, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ტანსაცმლით ასაჩუქრებდა. გარდა ამისა, ლიხნოვსკი მუსიკის დიდი მცოდნე იყო და ერთხანს მოცარტის მოწაფედაც ითვლებოდა.

— ხვალ სალამოსათვის ფრიად პატივსაცემი სტუმრები მოვიწვიე და ძვირფასო ბეთჰოვენ, გთხოვთ, მათთვის დაუკრათ!

კომპოზიტორი შეპირდა, შევასრულებ თქვენს თხოვნასო.

— მითხარით, ვინ არიან ფრიად პატივსაცემი სტუმრები?

— ეს სიურპრიზია, ბეთჰოვენ!

— გრაფ ოპერსდორფი ხომ არა? — ჩაეკითხა ბეთჰოვენი.

— რა თქმა უნდა, მათ შორის ისიც იქნება, რათა თავისი დასწრებით პატივი დასდოს უფრო დიდ სტუმრებს.

— კეთილი! — ჩაილაპარაკა ბეთჰოვენმა და აღარ უცდია საუბრის გაგრძელება. ხანგრძლივი მგზავრობისაგან მოქანცულიყო. წავიდა თუ არა ლიხნოვსკი, დაწვა და მაშინვე ჩაეძინა. ძილის წინ ბამბა დააგუნდავა, ყვითელ სითხეში დაასველა და ყურებში ჩაიდო. მხოლოდ დილით შეამჩნია, რომ ტანსაცმლის გახდა დავიწყებოდა. არც ის გაუგია, როგორ ძლიერ წვიმდა ღამით. ფანჯრიდან ქვევით, ეზოში გადაიხედა — წვიმის წყალი გუბეებად დამდგარიყო. მსახურნი შეათვალიერა, მათ ცხენები გამოჰყავდათ საჯინიბოდან და დილის ჯირითისათვის კაზმავდნენ.

სცრიდა. ბეთჰოვენი მაინც გავიდა სასახლიდან და პარკში გაისეირნა, ოდნავ წინ წახრილი, თავაწეული მიდიოდა. უცებ შეჩერდა, ჯიბიდან ნოტების ხელნაწერი ამოიღო, გადაქექა, რამდენჯერმე ჩაიღიღინა ერთი და იგივე ტაქტი, რაღაც წაშალა და ზედ სხვა ნოტები დააწერა. შემდეგ ისევ ჩაიდო ჯიბეში და სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა. თავის ოთახში ისადილა და ისევ პარკში გავიდა სასეირნოდ. უკან მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა დრო იყო, სალამოს კონცერტისათვის სამზადისს შესდგომოდა.

ბეთჰოვენის ოთახში ლიხნოვსკი შევიდა. კარგ გუნებაზე იყო.

— ბეთჰოვენ, გელოდებიან!

— მელოდებიან! — ღიმილით გაიმეორა ბეთჰოვენმა, — საინტერესოა, რომელი პატივსაცემი სტუმრებით აპირებთ ჩემს გაოცებას, თავადო?!

— თვალებს არ დაუჯერებთ! აღიარებული მუსიკის მცოდნენი არიან, ხელოვანები!

საუბარში გართულნი, სალონის კარებს მიადგნენ. მსახურთ ფლიგელები შეაღეს. დარბაზი უამრავი სანთლით იყო გაჩირაღდნებული. ბრწყინვალებასა და საზეიმო განწყობილებას კედლებზე ოქროს ჩარჩოებიანი სარკეები აორკეცებდა. თვალს ჭრიდა აბრეშუმის სამოსი, მუნდირები, მოკიაფე სამკაულები.

ლიხნოვსკისა და ბეთჰოვენის გამოჩენაზე სტუმრებმა ბაასი შეწყვიტეს. შემოსასვლელში ბედნიერი სახით, წელში გამართული თავადი იდგა. კომპოზიტორი კი, პირიქით, დაძაბული და მოკუნტული ალმაცერად შესცქეროდა თავის თავმომწონე მფარველს. „აი თურმე, ვინ ყოფილან ფრიად პატივსაცემი სტუმრები“, — გაიფიქრა ბეთჰოვენმა და უსიამოვნოდ გადახედა მუნდირებში გამოწყობილ ფრანგ გენერალსა და რამდენიმე მაღალი ჩინის ოფიცერს. ორდენებით მკერდდამშვენებულთ ელეგანტური და მედიდური შესახედაობა ჰქონდათ.

— შებრძანდით, რატომ შეჩერდით?! — წასჩურჩულა ლიხნოვსკიმ ბეთჰოვენს და სალონში შეუძლვა.

ბეთჰოვენს ადგილიდან დაძვრა არც უფიქრია, ხმამაღლა განაცხადა:

— მათ წინაშე მე არ დავუკრავ!

— ბეთჰოვენ?! — უკან გამობრუნებული თავადი ნაძალადევი ღიმილით ცდილობდა შეშფოთება დაეფარა.

აღშფოთებული ბეთჰოვენი შეტრიალდა, წყევლა-კრულვით თავისი ოთახისაკენ გაქანდა. ჩაიკეტა. ლიხნოვსკიმ კარზე დააკაკუნა:

— გააღეთ კარები, ბეთჰოვენ! გააღეთ! რას ნიშნავს ყოველივე ეს?!

ბეთჰოვენი არ პასუხობდა. იწვა და ჭერს მიჩრებოდა.

კარებს მიღმა თავადი ბობოქრობდა:

— გააღეთ, გთხოვთ, ბეთჰოვენ! თქვენ ხომ შემპირდით, რომ დაუკრავდით ჩემი სტუმრებისათვის?!

— შეგპირდით! — დაიყვირა კომპოზიტორმა, — მაგ დამპყრობლებში სტუმრებს გულისხმობთ?!..

— ისინი ჩემი სტუმრები არიან!

— ისინი ჩვენი მტრები არიან, თავადო! — დაიღრიალა ბეთჰოვენმა.

— არა ხართ მართალი, ბეთჰოვენ! — განაგრძობდა კარს მიღმა ლიხნოვსკი. — ისინი მეტად სასიამოვნო, ფაქიზი ადამიანები არიან და მუსიკის უბადლო მცოდნენი. განსაკუთრებით ფრანგი გენერალი გაფასებთ თქვენ!..

— მე კი სრულებითაც არ ვაფასებ მას! შეგიძლიათ ასე გადასცეთ მაგ ნაპოლეონის ყმას! არც გავაღებ და არც დავუკრავ, ნაპოლეონმა ჯერ მთელი ევროპა ნაკუწებად აქცია, შემდეგ აუსტერლიცთან ბრძოლით დაგვაჯილდოვა, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ მე ფორტეპიანოს უნდა მივუჯდე და მათთვის ჰანგები ავახმიანო, როგორ მოგწონთ ეს?!.

ლიხნოვსკიმ მსახურებს უხმო და უბრძანა:

— გააღეთ!

კარებმა ვეღარ გაუძლო ძალადობას და რყევა დაიწყო.

— იმასაც ვნახავთ, ვინაა ამ სასახლეში... — თავადის ბოლო სიტყვები გატეხილი კარების ხმაურმა ჩაახშო. ჩარჩოდან გაჯი ჩამოცვივდა. ბეთჰოვენი წამოხტა და დამწყვდეული ვეფხვივით ოთახში სიარულს მოჰყვა. თავადი ლიხნოვსკი ოთახში შევარდა. გააფთრებულმა კომპოზიტორმა ლიხნოვსკის მიახალა:

— თავადს აუსტერლიცთან ისე რომ ებრძოლა, როგორც ახლა, აქ იბრძვის ამ ფრანგებისათვის, მაშინ...

— ერთი სიტყვაც არ გამაგონოთ ჩემი სტუმრების საწინააღმდეგოდ, ბეთჰოვენ!

— თქვენ ისევ სტუმრებს მიხსენებთ?! — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ბეთჰოვენმა და სკამს წამოავლო ხელი... გრაფი ოპერსდორფი ხელებში სწავდა მას და ლიხნოვსკის თავზე დასაშვებად მოქნეული სკამი ხელიდან გამოგლიჯა.

— მე თქვენ შეგიპყრობთ, ბეთჰოვენ! — იყვირა თავადმა. მაგრამ ბეთჰოვენს უკვე აღარ ესმოდა მისი სიტყვები. მან სწრაფად ჩაირბინა კიბეები, სასახლის მეთვალყურესთან შევიდა, ქაღალდი და საწერ-კალამი მოითხოვა და წააწერა:

„თავადო! რასაც თქვენ წარმოადგენთ, ბედსა და წარმოშობას უნდა უმადლოდეთ, ხოლო მე რაც ვარ — ჩემითა ვარ. თავადები იბადებიან და კვლავ ათასობით დაიბადებიან. ბეთჰოვენი კი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე!“.

ქაღალდი მაგიდაზე დატოვა და გარეთ გავიდა — უკუნეთ სიბნელეს მისცა თავი — შარაგზით ტროპაუსაკენ გასწია.

როცა დაღლილმა და დაქანცულმა ქალაქს მიატანა, იგი კმაყოფილი იყო. სწრაფი საფოსტო ეტლით ვენაში დაბრუნდა. შევიდა თუ არა ოთახში, თავადი ლიხნოვსკის ბიუსტი კარადიდან გამოიღო, ძირს დაანარცხა და ნამსხვრევებად აქცია. ნამსხვრევებზე გადაიარა, ფორტეპიანოს მიუჯდა და დიდი აღმაფრენით შეასრულა სონატა f-moll.

ვისაც ამ ნაწარმოების ხელნაწერის ნახვა მოუხდება, მასზე უსათუოდ იმღამინდელი წვიმის წვეთებსაც შეამჩნევს.

გერმანულიდან თარგმნა მედეა კოდუა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

# საცოდავები

იუმორისტული მოთხრობა

ერთ საკმაოდ ბნელსა და წვიმიან საღამოს შინ დავბრუნდი. კარი გავაღე და ელდანაცემი შევჩერდი. თუმცა ელდაც რომ არ მცემოდა, შესვლას მაინც ვერ მოვახერხებდი, ისე იყო ბარიკადებით ჩახერგილი დერეფანი — ქურდებს ყველაფერი ერთმანეთში აერიათ. ლოგინები, წიგნები, კარადების უჯრები, ტანსაცმელი, ჩემოდნები, ღვინის ბალონები, თეფშები და ათასი ძონძი ეყარა. გაოცებული შევყურებდი: რამდენი რამ გვქონია-მეთქი.

ჩემი ამბავი კარის მეზობელს შევატყობინე, მან მეორეს გააგებინა, მეორემ — მესამეს და ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე კაცმა გზა ოთახის შუაგულისაკენ ძლივს გავიკვლიეთ.

ღმერთო ჩემო! ჩემთვის გაქურდვა სრულიად უჩვეულო და მოულოდნელი იყო. არასოდეს მიფიქრია, რომ ვინმე ჩემს სახლს გატეხავდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველამ იცოდა: ფული მხოლოდ იმდენი მქონდა, ჯიბიდან ამოღება და სადმე შენახვა არც კი ღირდა.

ჰოდა, არც მაინცდამაინც გამკვირვებია, როცა მე და ჩემმა მეზობელმა მიყრილ-მოყრილი ნივთები წესრიგში მოვიყვანეთ და აღმოჩნდა, რომ ქურდებს არაფერი წაეღოთ.

— საცოდავები, — შემომესმა ტამბურში გასულს ერთ-ერთი მეზობლის ხმა. ეს ქალი ხელმოკლეობის გამო თეატრიდან წავიდა და ახლა თერძობით საკმაოდ კარგად არჩენდა ოჯახს. თვალთ დამიბნელდა. სხვა სიტყვები აღარ გამიგია, თავში სისხლი ამივარდა და გაცოფებული შევვარდი ოთახში.

— ვინ არის, ქალბატონო თინა, საცოდავი? რატომ ვარ საცოდავი? იმიტომ, სხვასავით არ ვიპარავ, ქრთამს არ ვიღებ, ხალხსა და მთავრობას არ ვატყუებ?!..

თინა მომიბრუნდა და მითხრა:

— ბატონო, როგორ გეკადრებათ, საცოდავს თქვენზე როგორ ვიტყოდი — დოცენტი კაცი ბრძანდებით, თქვენი მეუღლეც, ალბათ, მალე დისერტაციას დაიცავს. მე საწყალი ქურდები მყავდა მხედველობაში, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელია ბინის გატეხვა, ათას რისკთანაა დაკავშირებული და ბინიდან ხელცარიელი წახვიდე, მართლაც, დიდი საცოდაობაა!

შემდეგ ჩემი მეზობლები მოჰყვნენ იმის ჩამოთვლას, თუ ვისი ბინის გატეხვა აჯობებდა. დაიწყეს ჩვენი ხუთსადარბაზოიანი სახლის განაპირა ბინიდან და რა არ მოვისმინე, ერთმანეთს ეცილებოდნენ მეზობლების ქონების ჩამოთვლაში.

— ქალო, ბეროზაშვილებმა, — თქვა ერთმა, — შარშან ბინის რემონტში სამი ათასი მანეთი მისცეს.

— ცოლსა და ქალიშვილებს მაშინვე დუბლიონკები უყიდა, — დაუმატა მეორემ, — აბა, როგორ გინდა, სანტექნიკოსია, ერთი „ტოჩკის" დაყენება ორმოცდაათი მანეთი ღირს, რატომ არ ექნება?!

— გვარჯალაძეს რა, ნაკლები აქვს? მანქანას მანქანაზე იცვლის და მესამე ბიჭი რომ შეეძინათ, ცოლს კარაკულის ქურქი მიართვა.

—აბა, რა გგონია შენ ინსპექტორობა, მეორე კოოპერატიულ ბინაში ძველი ავეჯიდან არაფერი არ შეუტანია, — დაურთო მეორემ.

— მაშ, იმ ქურდების იღბალი გლურჯიძეების ბინა რომ გატეხეს და ამათი ერთია? რამდენი რამე წაიღეს.

— რა გინდა. მაინც ბლომად კი აქვთ და, — თქვეს ტაქსის მძღოლზე, რომელიც ძველი თავადივით ყოველ კვირას საკუთარი ძაღლებით, საკუთარი მანქანით სანადიროდ დადის.

ამ ჩამოთვლაში პროფესორ ჭურაძის გვარიც წამოსცდათ, მაგრამ მალევე ჩაიქნიეს ხელი. მართალია, ამერიკაში, ინგლისში და ვინ იცის კიდევ სად არ დადის კონგრესებზე, მაგრამ ერთხმად გადაწყდა, რომ ქურდი მის ბინაშიც ვერ ნახავს ხეირს.

სასწრაფოდ გადავიდნენ დონაძეზე — საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერზე. გამოირკვა, რომ ქურდები არც მისი ბინიდან წავიდოდნენ გაუბედურებულები.

— თვითონ ბევრს ვერაფერს აკეთებს, — თითქმის ჩურჩულით გვითხრა მასწავლებელმა და მერე საიდუმლო გაგვანდო, — დედამისი ბოსტნეულის მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს და მანქანაც მან უყიდა.

პირველსავე სადარბაზოში აღმოჩნდა ქურდებისათვის კარგი საბილო — სასაფლაოების ქვის მთლელი, რომელსაც კლიენტი არ დაჰკლებია და არც მომავალში დააკლდება, ამის გამო, ქალების აზრით, მათ რამდენიმე თუ არა, ერთი მილიონი მანეთი მაინც უნდა ჰქონებოდათ (ძველი კურსით).

მიჰყვნენ და მიჰყვნენ სართულებსა და სადარბაზოებს. „შანსიანი" ხალხიდან ერთი გიუების ექიმი აღმოჩნდა, მეორე — ჰკვიანების, ერთი ქარხანაში რძეზე ასხამდა წყალს, მეორე — პურზე...

ერთი სიტყვით, ჩვენი საუბარი შუაღამემდე გაგრძელდა. დავწექი, მაგრამ ერთობ დასევდიანებულს უიღბლო ქურდების გამო, მთელი ღამე კოშმარები მესიზმრებოდა.

დილა მაინც დილაა. ხალისით შევექეცი საუზმეს და სამსახურში წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ უცებ გამახსენდა, როგორ სცემეს ავტობუსში ჯიბგირებმა ერთ ქალს, რომელსაც ჩანთაში ერთი მანეთის მეტი არ აღმოაჩნდა და თავზარი დამეცა. ერთი კვირაა სახლიდან გარეთ ველარ გამოვდივარ. ხელმოცარულმა ქურდებმა ხომ შეიძლება მეც... ჰა? ისე კაცმა რომ თქვას, ღირსი კი ვიქნები.

იმ დღიდან გადავწყვიტე, ჩემ მდგომარეობას კრიტიკულად გადავხედო. ასე შეუძლებელია გაგრძელდეს. სხვა რატომ უნდა ჩავარდეს უხერხულ მდგომარეობაში შენი უმწეობის გამო?! შინაური და შენიანი გაპატიებს, იმიტომ რომ შენიანია, მაგრამ სხვა რა შუაშია. ასეთი და სხვა ამგვარი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამიჯდეს გველის ხვრელში გავძვრები, თუ კი ეს რაიმეს მომცემს და... მივაღწიო იმას, რომ ჩემ სახლში ველარავინ შევიდეს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ფანჯრებსა და კარს გავამაგრებ რკინებით, ურდულებით, კლიტეებით. სადისტი ხომ არა ვარ, ჩემი მიზეზით ვინმეს დაბადების დღე ვაწყევლინო!

შალვა გოგოლაძე



## ნარევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ორი საუკუნის წინათ

ფინეთის ტერიტორიაზე ამას წინათ აღმოაჩინეს წყალსაყვინთავი კოსტიუმი, რომელიც, როგორც სპეციალისტებმა დაადგინეს, XVIII საუკუნეში არის დამზადებული.

სკაფანდრას აქვს ჰრილი წყალქვეშა დაკვირვებისათვის; საჭირო ჰაერს მყვინთავი ხის საგანგებო მილით იღებდა.

### ყველაზე დიდი წიგნი

მსოფლიოში ყველაზე დიდი წიგნია „ბრიტანეთის პარლამენტის (1800-1900 წწ) აქტებისა და დოკუმენტების კრებული", რომელიც გამოიცა... 1.200 ტომად.

ამ ტომების საერთო წონა რამდენიმე ტონას შეადგენს.

### გულმავიწყი ქმრები

პარიზში ამას წინათ დაარსდა გულმავიწყი ქმრების კლუბი.

ამ გაერთიანების მიზანია, თავის წევრებს გაახსენოს ცოლის, შვილების, სიდედრის, ოჯახის თითოეული წევრის დაბადების დღე.

გულმავიწყ ქმრებს აქვე ეძლევათ რჩევა სხვადასხვა დღესასწაულებზე რა საჩუქრები უყიდონ თავიანთ მეუღლეს.

### ახალი რეკორდი

ამას წინათ მსოფლიო რეკორდი დაამყარა კანადელმა სტუდენტმა ქალიშვილმა სენდი ნიკოლასმა: მან 19 საათსა და 55 წუთში ორივე მიმართულებით შეუსვენებლად გადაცურა ლამანში.

სენდი ნიკოლასამდე ლამანში ორივე მიმართულებით მხოლოდ ოთხმა მამაკაცმა გადაცურა. ამ საცურაო მარათონს ოთხივე მამაკაცმა გაცილებით მეტი დრო მოახმარა.

### ევროპის ცენტრი

სად მდებარეობს ევროპის ცენტრი?

ამ ტიტულის მოსაპოვებლად ბევრი პრეტენდენტი იბრძვის. ჯერჯერობით ლიდერობს პოლონეთის სოფელი სუხოვოლია, რომლის მცხოვრებლებს სწამთ, რომ ევროპის ცენტრი სწორედ მათ სოფელზე უნდა გადიოდეს.

სოფელი სუხვოლია, რომელშიც 2.126 სახლია, ბელოსტოკიდან 69 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ნარევი



— პირველად როდის დაგებადათ ევერესტის დაპყრობის სურვილი?

— როდესაც იაპონელმა ტაბაიმ და ჩინელმა ტშუნგმა 1975 წელს მსოფლიო ქალთაგან პირველებმა დაიპყრეს ევერესტი; მე ეს შესაძლებლობა არ გამაჩნდა, რადგან ექსპედიცია არ იყო — ნეპალის მთავრობა წელიწადში მხოლოდ ორი ექსპედიციის ყოფნის უფლებას იძლევა. იმავე წელს მიუნხენელმა ალპინისტური ჯგუფის ხელმძღვანელმა ჰერლიგკოფერმა მიმიწვია და შესაძლებლობა მომცა, ევროპელ ქალთაგან პირველს მეცადა ბედი, რაც 1978 წლამდე გაგრძელდა. ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა ხუთი ქვეყნის ორმოცი ალპინისტი.

# ქართველი ქალი ევერესტზე...

გასული წლის 16 ოქტომბერს 35 წლის მომხიბლავი გარეგნობის ვარშაველმა ელექტრონინჟინერმა **ვანდა რუტკევიჩმა**, ევროპელ ქალთაგან პირველმა, დაიპყრო დედამიწის უმაღლესი მთის ევერესტის მწვერვალი. ამ ცოტა ხნის წინ ვანდა ჩავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში, სადაც გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. გერმანული გაზეთის „იუნგე, ველტის“ თანამშრომელი ფოლკერ კლუგე ეწვია მას და ჩამოართვა ინტერვიუ, რომელსაც „დროშის“ მკითხველებს ვთავაზობთ (ინტერვიუ თარგმნა **ლაშა დადიანმა**.

**— ევერესტის დაპყრობა მიგაჩნიათ თქვენი, როგორც მთასვლელის, უპაღლეს. მიღწევად?**

— დიახ. ეს ჩემი დიდი წარმატებაა. დარწმუნებული ვარ, ევერესტი არ იყო ყველაზე ძნელი მთა, მაგრამ ჩემზე ყოველთვის გავლენას ახდენდა ის მითიური საბურველი, რომლითაც დედამიწის ეს უმაღლესი მწვერვალია გარემოცული. აქამდე თითქმის 40 ექსპედიციამ სცადა ევერესტზე ასვლა და მხოლოდ 16-მა მიაღწია მიზანს.

— გვიამბეთ იმ სიძნელეზე, რომელიც თან სდევს ევერესტზე ასვლას?

— ევერესტზე ასვლისას ალპინისტს არ უხდება მთის კალთებზე ცოცვა, რაც, მაგალითად, მატეჰორნის ჩრდილო კალთების დალაშქრისას დამჭირდა. რთული იყო აგრეთვე გასჰერბრუმ 3-ის დაპყრობაც, რომელიც სიმაღლით მეთხუთმეტე მთაა მსოფლიოში (7952 მ). ევერესტი კი სულ სხვაა, ვისაც მისი დაპყრობა სურს, მარათონელის გამძლეობაც უნდა ჰქონდეს და ყინვისა და ძლიერი ქარების ატანის უნარიც. გარდა ამისა, საჭიროა ექსპედიცია, რომელსაც ევერესტზე ასვლისათვის მთელი რიგი მატერიალური პირობების შესრულების შესაძლებლობა გააჩნია.



— რომელი ადგილებია განსაკუთრებით ძნელი დასაძლევი ევერესტზე ასვლისას?

— ის გზა, რომლითაც ჰილარიმ და ნორკეიმ (ევერესტის პირველი დამპყრობლები) ოცდახუთი წლის წინათ დალაშქრეს ევერესტი, დღეს ისე რთული აღარ გვეჩვენება. მთავარი პუნქტიდან (სიმაღლე 3500 მ) მწვერვალამდე ორი სახიფათო გზაა — 3000 მ სიმაღლის კჰუმბუს მოძრავი ყინულმავალი და სამხრეთსა და მთავარ მწვერვალს შორის გადაჭიმული ციცაბო ქედი. აქ აღმართულია ორმხრივად დამრეცი მთის კალთები, რომელზეც ასვლა დამხმარე საშუალების გარეშე ხორციელდება..

— რამდენმა დაიპყრო მწვერვალი?

— თექვსმეტმა. ეს ჯგუფური ასვლის რეკორდია. 14 ოქტომბერს პირველმა სამმა ალპინისტმა დაიპყრო მწვერვალი, ერთი დღის შემდეგ — ოთხმა, კიდევ ერთი დღის შემდეგ — შვიდმა; მათ შორის მეც გახლდით და ბოლოს, 24 საათის შემდეგ, ორმა ალპინისტმაც მიაღწია მიზანს. წელიწადში დროის ორი მონაკვეთია, როდესაც ევერესტზე ასვლა შეიძლება — მუსონამდე და მის შემდეგ (მუსონი ქარია, რომელიც პერიოდულად იცვლის მიმართულებას — ზაფხულობით ზღვიდან უბერავს, ხოლო ზამთრობით — ხმელეთიდან).

— როგორია მწვერვალი?

— მწვერვალი დაახლოებით ძალზე პატარა ოთახის ზომისაა. ეს პლატო არ არის, უფრო ბილიკს ჰგავს, რომელიც ქვევით ეშვება. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს პირველი ადამიანები ვიყავით, რომლებიც ამ მწვერვალზე ავედით. თოვლის გარდა აბსოლუტურად ვერაფერს ვხედავდით.

— ჩამოიტანეთ რაიმე სამახსოვრო?

— ევრესტთან შედარებით 88 მეტრით დაბლა სამხრეთ მწვერვალზე (სიმაღლე 8760 მ) ვნახე რამდენიმე ქვა, რომლებიც თან წამოვიღე, სამშობლოდან წაღებული ქვა კი ევერესტზე დავტოვე. როცა ევრესტიდან ჩამოვედი, სხვა სამახსოვროც წამოვიყოლე თან. ეს გახლავთ ტიბეტური მონასტრის ძაღლი, რომელსაც ჰიმალაიურ ლეგენდაში მოხსენებული თოვლის კაცის სახელი — იეტი ვუწოდე.

— რას გრძნობდით მწვერვალზე ასვლის შემდეგ?

— პირველად მხოლოდ სიხარულს ვგრძნობდი, რომ აღარ მომიწევდა უფრო ზევით ასვლა, დაღლილობა კი მოგვიანებით ვიგრძენი. მწვერვალზე ნახევარი საათი დავრჩით.

— თქვენ, როგორც ქალს იგივე ფუნქციის შესრულება გიხდებოდათ, როგორც მამაკაცებს?

— ზუსტად იგივე, როგორც ყოველ მამაკაცს: მეც 75 კგ ტვირთი უნდა მეტარებინა 300 მეტრის მანძილზე (6100მ სიმაღლიდან 6400 მეტრამდე), ყოველთვის 15 კგ ტვირთი უნდა მომეგდო ზურგზე, ხოლო შემდეგ უკან ვბრუნდებოდი დანარჩენი ტვირთის წასაღებად.. ე. ი. შეიძლება გამოვთვალოთ, რამდენჯერ მომიხდა ამ მანძილის გავლა.

— 1978 წელს მესნერი და ჰებერლე პირველად ავიდნენ ევერესტზე ჟანგბადის მარაგის გარეშე. თქვენ შეძლებდით ამას?

— მესნერი პროფესიით მთასვლელია, ამით არჩენს ოჯახს. გარდა ამისა, არავინ იცის, თუ რა დაავადებას გამოიწვევს ასეთ სიმაღლეზე უჟანგბადოდ ასვლა. მე ორი მიზეზის გამო ვთქვი უარი ასეთ გამბედაობაზე: ჯერ ერთი, მსურდა მწვერვალის დაპყრობა და არ მინდოდა რაიმე დამუქრებოდა ჩემს მიერ დასახულ მიზანს; მეორე მხრივ, მეშინოდა თავის ტვინის ანთებისა. მე კომპიუტერი გახლავართ და ჯერ კიდევ მჭირდება ნაცრისფერი უჯრედები...

— ბოლო 30 წლის განმავლობაში ალპებზე ასვლისას 15000 ალპინისტი დაიღუპა. გამართლებულია ასეთი მსხვერპლი?

— რა თქმა უნდა ალპინიზმი ძალზე სახიფათოა; რაც შემეხება მე, საშიშროებებს არ ვუფრთხი და მათ დასაძლევად მუდამ მზად ვარ . საჭიროა შიშის გრძნობა დავძლიოთ აქტიური მოქმედებით, განუწყვეტელი და შეუპოვარი საქმიანობით, ამ დროს შიშისათვის დრო აღარ გრჩება!

არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ რისკი და მუდამ მაქსიმალურს ესწრაფვიან...



გარეკანის
პირველ გვერდზე

მათი ბიოგრაფია ქართველი სტუდენტ-ახალგაზრდობის ერთი სახელოვანი ფურცელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით ისინი მეცნიერების მწვერვალებს ეუფლებიან.

ნინო ფორაქიშვილი — ბიოლოგიის ფაკ-ის IVკურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი; მაია კვეზერელი-კოპაძე — ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი; ელიკო წიკლაური — იურიდიული ფაკ-ის IV კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი; ელენე შატბერაშვილი — საინჟინრო- ეკონომიკური ფაკ-ის III კურსის სტუდენტი, კ. ბაქრაძის სახელობის სტიპენდიანტი; გიორგი კვინიკაძე — მექანიკა-მათემატიკის V კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი; ვალერიან დარასელია — მექანიკა-მათემატიკის V კურსის სტუდენტი, ი. ვეკუას სახელობის სტიპენდიანტი; ზურაბ ახალაძე — მექანიკა-მათემატიკის V კურსის სტუდენტი, ნ. მუსხელიშვილის სახელობის სტიპენდიანტი.

პირველნი სწავლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც არავის უდებენ ტოლს. ისინი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს აქტიური წევრები არიან, მონაწილეობენ უნივერსიტეტის კომკავშირულ საქმიანობაში. აქვეყნებენ საინტერესო მეცნიერულ შრომებს, მჭიდრო კავშირი აქვთ უცხოეთის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრებთან.

თარხან არჩვაძის ფოტო.

# თითქმის დაუჯერებელი

უძილობას თურმე ქალები უფრო უჩივიან, ვიდრე მამაკაცები.

გამოჩენილი ამერიკელი სპეციალისტი დოქტორი ვეიცმანი ირწმუნება, რომ 10 მამაკაციდან უძილობას უჩივის 1 კაცი, 10 დედაკაციდან კი — 2 ქალი.

●

ამას წინათ ინგლისში ერთ-ერთ აუქციონზე გაიყიდა ათასი წლის წინანდელი ერთპენიანი მონეტა.

მყიდველმა ძველ ერთპენიან მონეტაში გადაიხადა... 900.000 თანამედროვე პენი.

●

დასავლეთ გერმანიაში ზღაპრულ ფასად იყიდება ყავის ორი ვერცხლის კოვზი, რომლებზეც ფაშისტური სვასტიკაა ამოტვიფრული.

ეს კოვზები, როგორც ირწმუნებიან, თვითმკვლელობის წინ ყავის დასალევად იხმარეს ადოლფ ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა.

●

ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ავტოავარიებით გამოწვეულ... ახალგაზრდობის სიკვდილიანობაში.

●

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები უკეთესად არჩევენ... ფერებს, ვიდრე დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები.

●

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პირველი ადგილი დაიკავა... თვითმომსახურების მაღაზიებიდან საქონლის გატაცებაში.

მარტო 1977 წელს მაღაზიებიდან გაიტაცეს 2,5 მილიარდი მარკის ღირებულების სხვადასხვა საქონელი.

●

აღნუსხული მონაცემების სათანადო გაანალიზებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწაზე ყოველწლიურად საშუალოდ ხდება 20 დიდი და 300.000-ზე მეტი სხვადასხვა პატარა მიწისძვრა.

●

ფრანგმა სპეციალისტებმა მონტიორებისათვის დაამზადეს... დამაგნიტებული ჟილეტები.

საქმეში გართულ მონტიორებს აღარ სჭირდებათ სხვადასხვა იარაღის ჯიბეში ან ხელჩანთაში ჩადება.

ეს იარაღები დამაგნიტებულ ჟილეტზე მაგრდება.

●

დასავლეთ გერმანიაში დაამზადეს საგანგებო ჯავშნიანი ავტომანქანა, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა... დემონსტრაციის გარეკვა.

ამ სახეობის „საბრძოლო“ იარაღი უკვე კარგა ხანია მიიღეს პოლიციის რაზმებმა.

●

ავსტრალიელ დომინიკე ლეტემს ინგლისში გარდაცვლილმა პაპამ ლორდის ტიტული უანდერძა.

შინ დაბრუნებული ახლად გამომცხვარი ლორდი ლეტემსი მაშინვე სიდნეის შრომის ბირჟაზე გამოცხადდა და... უმუშევართა გრძელ რიგში ჩადგა.

# დაელოცოს მარჯვენა

ონში, რაჭის წყნარსა და ლამაზ გარემოში, ცხოვრობს და მოღვაწეობს ერთი მეტად შრომისმოყვარე, გამრჯე ქალი — იზო ნოდარიშვილი.

იზო ნოდარიშვილი ონის კულტურის სახლის დირექტორია. ხელსაქმობის ტრფიალი ქალი, ოჯახის დედა, როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, სელის ძაფისაგან, ნაცრისფერი, თითქოსდა უხეში მასალისაგან, ქსოვდა და რთავდა.

იზო ნოდარიშვილის ნამუშევრები აღსავსეა პოეტურობით, ამავე დროს ამ ნამუშევრებში იგრძნობა ღონიერი, ვაჟკაცური ხელი, რაც ქალის ნებისყოფისა და ტემპერამენტის გამომხატველია.

ამ ნაქსოვთა ზედაპირი, ფაქტურის რელიეფური სიმკვრივე, ფერთა აქცენტების განლაგება, ისე ზომიერად და გემოვნებით არი შეზავებული, რომ ისინი ხელოვნების ნიმუშებად ქცეულან.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილმა თვითნასწავლი მხატვრის იზო ნოდარიშვილის ნამუშევართა გამოფენამ თბილისელები აღტაცებაში მოიყვანა.

იზო ნოდარიშვილს კომპოზიციის გრძნობის თანდაყოლილი ნიჭი აქვს, რასაც სამხატვრო სასწავლებელში სპეციალური საგნით უნვითარებენ და ასწავლიან სტუდენტებს. და თუ ბუნებით მომადლიერებულ ამ ნიჭს, საქმის სიყვარული, ნებისყოფა და შრომისადმი ერგულება ახლავს, მაშინ გასაგები ხდება, რატომ ახდენენ ასეთ დიდ შთაბეჭდილებას მნახველებზე მისი ნამუშევრები.

იზო ნოდარიშვილის ნამუშევრები დღევანდელი დღით სუნთქავენ, ისინი მშრომელი ადამიანის გარემოს გასალამაზებლად, მათი სამყოფელის დასამშვენებლად, სიმშვიდისა და კეთილგანწყობის შესაქმნელად არიან მოწოდებულნი.

დაელოცოს მარჯვენა ამ ნიჭიერ ქალს!

ალდე კაკაბაძე

# ცოტა რამ ფეხბურთზე

...ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა შოთა იამანიძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ჩაატარა 301 მატჩი და მოწინააღმდეგის კარში გაიტანა 66 გოლი; სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მას ნათამაშები აქვს 21 მატჩი და გატანილი აქვს 5 გოლი; საერთაშორისო შეხვედრებში შოთა იამანიძემ 70 მატჩში 20-ჯერ შეარხია მოწინააღმდეგის კარის ბადე.

მიხეილ მესხმა 284-ჯერ მიიღო მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატებში და 53 გოლი გაიტანა; თასის გათამაშებაში იგი 18-ჯერ მონაწილეობდა და 5 გოლი გაიტანა; მიხეილ მესხმა 53-ჯერ ითამაშა საერთაშორისო შეხვედრებში (გაიტანა 18 გოლი) და 35-ჯერ საბჭოთა კავშირის ნაკრების მიერ ჩატარებულ მატჩებში (გაიტანა 4 გოლი).

სლავა მეტრეველი 336-ჯერ იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა მატჩებში და 84 გოლი გაიტანა.

ზაურ კალოევი სხვადასხვა მატჩებში მონაწილეობდა 279-ჯერ (გაიტანა 164 გოლი).

გივი ჩოხელი — 223-ჯერ (გაიტანა 4 გოლი).

ილია დათუაშვილი — 249-ჯერ (გაიტანა 60 გოლი).

ცნობილი მეკარე სერგო კოტრიკაძე 315-ჯერ იცავდა თბილისის „დინამოს“ კარს.

საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში მ. ხურცილავამ გაიტანა 14 გოლი.

„საერთაშორისო კლასის“ სპორტის ოსტატის საპატიო წოდება ფეხბურთელთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიმსახურა ს. მეტრეველმა, მ. ხურცილავამ, გ. სიჭინავამ, ა. კავაზაშვილმა.

გადაეცა ასაწყობად 5/IV-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 52.450. შეკვ. 1057. უე 12203. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯემალ ლოლუა



— რომ ამბობ, შვილი თავზე გაზისო... რას ერჩი ბავშვს, თავისთვის ზის.



— ძია, თქვენზე რომ ამბობენ მთელი ქვეყანა შეჭამაო, მართალია?

ბავშვები — ცხოვრების ყვავილები,



უსიტყვოდ.








ИЗО НОДАРИШВИЛИС
ნამუშევრები




ИНДЕКС 76056